ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელი და დიდება უხვი მოსავლის ოსტატებს!



სიღნაღელებს შეუძლიათ თქვან, რომ მათ ღირსეული წვლილი შეიტანეს საქართველოს მემინდვრეთა წარმატებაში... ქება-დიდების ღირსნი არიან ამ რაიონის მშრომელები. სურათზე თქვენ ხედავთ ადამიანებს, რომლებმაც რაიონის, სოფლის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან და მშრომელებთან ერთად, უზრუნველყვეს ბრწყინვალე გამარჯვება მარცვლეულის ფრონტზე. (მარცხნიდან) სიღნაღის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ს. ხოსროშვილი, საწარმოო სამმართველოს უფროსი ა. გონაშვილი, ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი, ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი, მექანიზატორები ა. ბენაშვილი და გ. თინაშვილი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 281 (12793)

სამშაბათი, 3 დეკემბერი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

მემინდვრეებო, მაღალი შეფასება გვავალებს...

საბჭოთა საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს მოეფინა სასიხარულო ცნობა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებას სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვის გეგმის შესრულების გამო.

პარტიისა და მთავრობის მისალმებაში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში, ნათქვამია: **„საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბეღლებში შეიტანეს 12 მილიონ 240 ათასი ფუთი მარცვალი, აქედან ძირითადი სასურსათო კულტურა — ხორბალი სახელმწიფოს მიჰყიდა 4 მილიონ 300 ათასი ფუთი, ანუ 1,3 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია ამ კულტურის შესყიდვის გეგმით“.**

რესპუბლიკის ამ სახელო გამარჯვებაში პირველ რიგში დიდი წვლილი შეიტანეს **სიღნაღის, გორის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ახალციხის, დუშეთისა და მთელი რიგი სხვა საწარმოო სამმართველოების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.**

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს (პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ხოსროშვილი, საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. ა. გონაშვილი) კოლმეურნეობებმა წელს დიდად ისახელეს თავი. მიუხედავად იმისა, რომ ალაზნის ველზე ნათესი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამუდმებულმა წვიმებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს, მემინდვრეებმა საშემოდგომო ხორბლის ნათესში საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი მიიღეს და სახელმწიფოს 40 ათას ტონამდე ხორბალი მიჰყიდეს. **ეს თითქმის იმის ნახევარია, რაც მთლიანად რესპუბლიკაში დამზადდა.**

სიღნაღელი მემინდვრეები აქედანვე უყრიან საფუძველს შვიდწლედის მეექვსე წლის უხვ მოსავალს. საშემოდგომო თესვა დამთავრებულია. გაზაფხულზე მთლიანად მზრალზე დაითესება სიმინდი და სხვა სათოხნი კულტურები. პარტიისა და მთავრობის მისალმებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები პირობას იძლევიან 1964 წელს მიიღონ 143 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული.

გორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წელს მარცვლეული კულტურები დათესილი იყო 41.528 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 15-16 ცენტნერი მარცვალი — თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1962 წელს. ის ფაქტი, რომ გორის საწარმოო სამმართველოს რუისის საბჭოთა მეურნეობაში 234 ჰექტარი ხორბლის ნათესში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 20 ცენტნერი, იმაზე მეტყველებს, რომ ყველა პირობა და შესაძლებლობა გვაქვს შემდგომში მკვეთრად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება დიდ ფართობებზე.

მთელი რიგი მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება გარდაბნის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ახალციხის, დუშეთისა და სხვა საწარმოო სამმართველოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის პრაქტიკიდან.

წარმატებები ნათელია... წელს როგორც მეჩაიეებმა, ისე მემინდვრეებმაც შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს, პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები, სიტყვა საქმედ აქციეს — სახელმწიფოს მიჰყიდეს 12 მილიონ 240 ათასი ფუთი მარცვლეული.

ეს გამარჯვება, პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ახალი, დიდი ამოცანების წინაშე აყენებს... ახლა მთავარია გონივრულად გამოვიყენოთ მარცვლეულის წარმოების გადიდების ყველა რეზერვი.

ამოცანა ის არის, რომ **რესპუბლიკაში მარცვლეულის საერთო მოსავალი 1965 წელს ავიყვანოთ ერთ მილიონ ტონამდე და სახელმწიფოს მივყიდოთ 15 მილიონი ფუთი მარცვალი.**

ამისათვის საჭიროა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამთავითვე გაჩაღდეს ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის. ამ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციები.

საჭიროა ყველა მეურნეობამ შეიმუშაოს მარცვლეულის წარმოების გადიდების კონკრეტული გეგმები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება. მთელი ეს მუშაობა უნდა წარიმართოს იმ ნიშნით, რომ ბრიგადამ, განყოფილებამ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ დიდ ფართობებზე მოიყვანოს უხვი მოსავალი. უფრო ფართოდ უნდა დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მარცვლეულის წარმოების შუქურების მდიდარი გამოცდილება, აქტიურად ჩავაბათ მუშაობაში სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მეცნიერები.

მარცვლის უხვი და გარანტირებული მოსავლის მიღებისათვის მტკიცე ბაზის შექმნის ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, საკავშირო მთავრობამ და პირადად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაგვისახეს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის მთელი პროგრამის განხორციელებისათვის. ეს ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. იმისათვის, რომ იგი წარმატებით გადაწყვიტონ, პარტიულმა კომიტეტებმა, საწარმოო სამმართველოებმა ენერგიულად უნდა იმუშაონ აქტივთან, სოფლის მშრომელებთან.

ყველა მეურნეობაში საჭირო წესრიგი უნდა დამყარდეს მიწის, ტექნიკის გამოყენებაში, უნდა დაინერგოს მიწათმოქმედების რაციონალური სტრუქტურა, უნარიანად უნდა გამოვიყენოთ მინერალური და ორგანული სასუქები, სარწყავი წყალი. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ყოველ ჰექტარზე რაც შეიძლება მეტი მარცვლეული მივიღოთ.

ამჟამად რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას... ეს უნდა გახდეს ახალი ამოცანებისთვის ბრძოლის მძლავრი საშუალება, ენერგიულად უნდა ვიშრომოთ იმისათვის, რომ ამთავითვე ჩაეყაროს საფუძველი მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ეჭვი არ არის, პარტიული კომიტეტები და საწარმოო სამმართველოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მეცნიერები ძალ-ღონეს არ დაზოგავენ იმისათვის, რომ პირნათლად გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებები, საქმით გაამართლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მისალმებაში გამოთქმული რწმენა, რომ **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებაში“.**

მივცეთ სამშობლოს მეტი მარცვალი, ხორცი, რძე!

გარდაბნის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა, მოსამსახურეთა და სპეციალისტთა მიმართვა საქართველოს ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას

სასიხარულო ამბავი მოეფინა ჩვენს რესპუბლიკას: სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოულოცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს მარცვლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულება. სახელოვანი შრომითი საქმეებით უპასუხებენ რესპუბლიკის სოფლის მშრომელები პარტიისა და მთავრობის მაღალ შეფასებას. ისინი ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას. მინდვრების, ფერმებისა და პლანტაციების მშრომელთა წადილია წარმატებით დაამთავრონ შვიდწლედის მეხუთე წელი, ვადაზე ადრე შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი — ეს ხელს შეუწყობს მათ აიღონ კიდევ ერთი ზღუდე სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, თვითეულმა მხვნელ-მთესველმა და მექანიზატორმა მთელი ძალები უნდა დაძაბოს იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს მარცვლეულის და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების სიუხვის შექმნის გრანდიოზული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში.

თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წელს ერთგვარ წარმატებებს მიაღწია მარცვლეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში. საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების 1.745 ჰექტარი ნათესებიდან საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 23 ცენტნერი მარცვალი. ხორბალმა „უფხო-1“, რომელსაც 585 ჰექტარი ეჭირა, საშუალოდ ჰექტარზე მოგვცა 28 ცენტნერი მარცვალი, 16 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. უკვე ავიღეთ სიმინდის მოსავალი. საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 33 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

დამახასიათებელია ზოგიერთი ციფრი, რომელიც ცხადყოფს საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო საქმიანობას. თუ 1962 წელს მარცვლეული კულტურების ყოველი 100 ჰექტარი ნათესებიდან მეურნეობამ მიიღო 950 მანეთი, წელს ეს მაჩვენებელი 5.090 მანეთამდე გაიზარდა. თუ ცენტნერი მარცვლის თვითღირებულება გასულ წელს გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი იყო და 5 მანეთი და 63 კაპიკი შეადგინა, წელს ცენტნერი მარცვლის ღირებულება 2 მანეთი და 50 კაპიკია — გეგმით გათვალისწინებულზე 2 მანეთითა და 30 კაპიკით ნაკლები.

მთავარი კი ის არის, რომ თუ 1962 წელი 290.000 მანეთი ზარალით დავამთავრეთ, დღეისათვის ჩვენს საბჭოთა მეურნეობას უკვე აქვს 62.000 მანეთი მოგება, ხოლო წლის ბოლომდე ეს მოგება სულ მცირე კიდევ 5.400 მანეთით გაიზრდება.

ამ წარმატებებს საბჭოთა მეურნეობამ უწინარეს ყოვლისა იმით მიაღწია, რომ მეურნეობის კოლექტივმა გააუმჯობესა მიწების გამოყენება. შესრულებულ იქნა სამუშაოები სათესი ფართობების სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, გადიდდა მარცვლეული თავთავიანი და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ძვირფასი კულტურების ნათესები. ეს გაკეთდა იმის შედეგად, რომ ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ნათესები 400-ზე მეტი ჰექტარით იქნა შემცირებული. წელს მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესებს მთელი სახნავი ფართობის თითქმის 80 პროცენტი უჭირავს, მაშინ როცა წინათ მათ მიწების მხოლოდ 44 პროცენტს ვუთმობდით. სამარცვლედ დათესილ სიმინდს წელს ეჭირა 1.000 ჰექტარზე მეტი ანუ მთელი ნათესი ფართობის დაახლოებით 28 პროცენტი, მაშინ როცა წინათ ამ კულტურას სახნავი ფართობის 2 პროცენტზე ნაკლები ეჭირა.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

1964 წელს — 143.000 ტონა!

ამას წინათ სიღნაღის საწარმოო სამმართველოს მხვნელ-მთესველებმა მარცვლეულის წარმოების გადიდების მიზნით ახალი ვალდებულებები იკისრეს და მოუწოდეს რესპუბლიკის მშრომელებს ყოველი ღონისძიებით გაადიდონ მარცვლეულის წარმოება 1964-1965 წლებში. ამ ვალდებულებების შესრულებისათვის სიღნაღლები უფრო აღაფრთოვანა **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებამ საქართველოს მშრომელებისადმი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დავალების გადაჭარბებით შესრულების გამო.**

რაიონის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი 1964 წლის მოსავლისათვის დათესონ (შემოდგომის ნათესების ჩათვლით) 62.000 ჰექტარი მარცვლეული კულტურები და საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 23-24 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20-21 ცენტნერისა. სულ აწარმოებენ 143.000 ტონა მარცვლეულს, 1965 წელს კი — 149.000 ტონას ანუ დავალებაზე 19.000 ტონით მეტს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაჩაღებულია თავდადებული შრომა.

ავიღებთ ახალ ზღუდეებს

თეთრწყაროელები გვპირდებიან

შვიდწლედის მეხუთე წელს თეთრწყაროელი მშრომელები, — საუბარში განაცხადა თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ალექსი ბექაურმა, — სასახელოდ ამთავრებენ. სახელმწიფოს მიჰყიდეს ნახევარი მილიონი ფუთი მარცვლეული.

ბევრი კოლმეურნე ნამდვილი შუქურა გახდა. მაგალითად, სოფელ კოდის კოლმეურნეობის მექანიზატორმა მ. მატინოვმა ხელის შრომის გამოუყენებლად 100 ჰექტარ ფართობზე მიიღო 27.880 ფუთი სიმინდი. იმ ბრიგადამ, რომელსაც აგრონომი, XXII ყრილობის დელეგატი უ. ბაჯიაშვილი ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 180 ფუთი ხორბალი მიიღო. ხოლო კოლმეურნეობამ 1.234 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 120 ფუთი ხორბალი მოიყვანა.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გულითად მოლოცვას თეთრწყაროელი მშრომელები ახალი შრომითი გმირობით უპასუხებენ. გადაწყვეტილი გვაქვს 1964 წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ სულ მცირე 15 ცენტნერი ხორბალი. ამ დავალების შესასრულებლად წელს საშემოდგომოდ ხორბალი დაითესა 10 ათასი ჰექტარი ნაცვლად 7 ათასი ჰექტარისა. ძირითადად დათესილია უხვმოსავლიანი ჯიში „უფხო-1“. სიმინდი ითესება 3 ათასი ჰექტარი ნაცვლად წელს დათესილი 1.800 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იქნება 25 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. მარცვლეული კულტურები დაითესება მზრალზე. ამასთან ერთად მოსავლიანობის გადიდების მიზნით მეტ ყურადღებას მიაქცევენ სასუქების გამოყენებას.

თეთრწყაროელი მხვნელ-მთესველები ყველაფერს გააკეთებენ მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ხაშურელთა პასუხი

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის საქმეში საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა გამარჯვებაში, — განაცხადა ხაშურის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ზ. მაისაშვილმა, — ხაშურელებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით.

ხაშურელები მიღწეულს როდი სჯერდებიან. მხვნელ-მთესველები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს შვიდწლედის მეექვსე წელს მარცვლეული კულტურები მთლიანად მზრალ ხნულზე დათესონ, საკმაო რაოდენობით გამოიყენონ მინერალური და ორგანული სასუქები. 11.100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 1963 წელთან შედარებით 4 ცენტნერით მეტი ხორბალი, ხოლო სიმინდი დათესონ 7.400 ჰექტარი ნაცვლად 7 ათასი ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 25 ცენტნერი მარცვალი.

გულითადი მოლოცვის საპასუხოდ!

მაგალითი მეკარტოფილე მექანიზატორებისათვის

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა სრულიად საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ცენტრალური მანქანათგამოსაცდელი სადგურის კარტოფილის მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღების კომპლექსური მექანიზაციის რგოლის წევრების ვ. ი. კუზნეცოვას, ვ. ნ. კოზლოვას, ი. ი. პარამონოვას წარმატებებს. რგოლმა გამოიყენა კარტოფილის მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღების რაციონალური ტექნოლოგია, უფრო სრულყოფილი მანქანების კომპლექსი და მიმდინარე წლის მინდვრის რთულ პირობებში 157 ჰექტარზე მოიყვანა 2,5 ათასი ტონა კარტოფილი, ანუ 800-ზე მეტი ტონა რგოლის თითოეულ წევრზე. ერთ ცენტნერ კარტოფილის წარმოებაზე დახარჯულია 54 წუთი, ერთი კილოგრამი კარტოფილის თვითღირებულება კი დაახლოებით 2,5 კაპიკს უდრის.

ეს შესანიშნავი შედეგია, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი წერილში მეკარტოფილე-მექანიზატორებისადმი. თქვენი გამოცდილება ამტკიცებს, რომ იქ, სადაც კომპლექსური მექანიზაცია ინერგება და მაღალმწარმოებლურად იყენებენ ტექნიკას, კარტოფილი ნაკლებად შრომატევადი კულტურა ხდება და დიდ შემოსავალს იძლევა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, გამოთქვამენ რწმენას, რომ თქვენს მაგალითს ბევრი მეკარტოფილე-მექანიზატორი გაჰყვება. საბჭოთა მთავრობის მეთაური რგოლის წევრებს უსურვებს ახალ დიდ წარმატებებს მუშაობაში და პირად ბედნიერებას.

წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი მექანიზატორთა რგოლის წევრები დაწვრილებით წერენ, თუ როგორ მიაღწიეს კარტოფილის უხვ მოსავალს შრომის მინიმალური დანახარჯებით. 1963 წლის გამოცდილებამ ცხადყო, რომ კარტოფილის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფისა და ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესების გზით შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება და შემცირდეს სახსრების დანახარჯი ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოებისათვის.

სამშობლოს სადიდებლად

მოსკოვი. მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების მეორე ყრილობამ. ყრილობამ აირჩია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები, სარევიზიო კომისია.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

გაიმართა საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმი, რომელმაც აირჩია ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი. საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ა. ივანოვი. (საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ იდეოლოგიურ კომისიაში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული იდეოლოგიური კომისიის ახლახან გამართული სხდომა მიეძღვნა თეატრალურ ხელოვნებასა და დრამატურგიას. ყურადღების ცენტრში იყო შემდეგი საკითხები: თეატრის როლის ამაღლება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში და მისი რეპერტუარის იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობა.

სხდომაზე მიწვეული იყვნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების იდეოლოგიურ საკითხთა მდივნები, საქალაქო, საოლქო და სამხარეო პარტიული კომიტეტების მდივნები, რომლებიც იდეოლოგიურ საკითხებზე მუშაობენ, კულტურის მინისტრები და განათლების მინისტრები, პრესის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა **ე. ა. ფურცევამ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დრამატურგებმა **ნ. ი. ზარუდნიმ, ნ. ს. როზოვმა, კ. ი. ფედინმა, ა. ი. სოფრონოვმა, ი. ვ. შტოკმა, ტ. ახტანოვმა,** პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **მ. ა. კუზნეცოვმა,** პოეტმა **ა. ა. პროკოფიევმა,** უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგემ **ი. ი. კონდუფორმა,** კრიტიკოსმა **ე. დ. სურკოვმა,** საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის მთავარმა რეჟისორმა **ა. ა. პოპოვმა,** გაზეთ „სოვეტსკაია კულტურის“ მთავარმა რედაქტორმა **დ. გ. ბოლშოვმა.**

განხილვაში მონაწილეობდნენ აგრეთვე **ს. ვ. მიხალკოვი,** სარატოვის მოზარდმაყურებელთა თეატრის მთავარი რეჟისორი **ი. პ. კისელიოვი,** ჟურნალ „ტეატრის“ მთავარი რედაქტორი **ვ. ფ. პიმენოვი,** ლენინგრადის პუშკინის სახელობის დრამის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი **ლ. ს. ვივიენი,** ჟურნალ „ტეატრალნაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორი **ი. ა. ზუბკოვი,** რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი **ა. ი. პოპოვი,** გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი **გ. ა. ტოვსტონოგოვი,** დრამატურგები **ა. დ. სალინსკი** და **ი. ვ. სობოლევი,** ბელორუსიის კულტურის მინისტრი **გ. ი. კისელიოვი,** სვერდლოვსკის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი **ვ. ს. ბიტიუცკი,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი **მ. ფ. ასტანგოვი.**

განხილვის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ლ. თ. ილიჩოვმა.** (საკდესი).

ფინეთის პრეზიდენტი ურხო კ. კეკონენი საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევით ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ურხო კალევა კეკონენმა** შაბათს, 30 ნოემბრის დღის მეორე ნახევარი და კვირადღე 1 დეკემბერი **ნ. ს. ხრუშჩოვთან** ერთად გაატარა მოსკოვის მახლობლად.

მათთან ერთად იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი,** სსრ კავშირის მინისტრები **ა. ა. გრომიკო, რ. ი. მალინოვსკი,** სსრ კავშირის ელჩი ფინეთში **ა. ვ. ზახაროვი,** აგრეთვე ფინეთის ელჩი სსრ კავშირში **იორმა ვანამო** და ფინეთის პრეზიდენტის პირველი ადიუტანტი გენერალ-მაიორი **კ. ო. ლეინონენი.**

საბჭოთა თვითმფრინავები მაკ-მერდოში

მოსკოვი, 30 ნოემბერი (საკდესის კორ.). საბჭოთა თვითმფრინავები „ილ-18“, რომლებიც ახორციელებენ ტრანსკონტინენტურ გადაფრენას მოსკოვი-მირნი, დღეს დილით ჩამოფრინდნენ მაკ-მერდოში, ამერიკის ანტარქტიკულ სადგურში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. სიმონ სევერიანეს-ძე ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი. 1963 წლის 2 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი. 1963 წლის 2 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. დ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და რესპუბლიკის მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. შალვა დავითის-ძე კიკნაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი. 1963 წლის 30 ნოემბერი.

მივცეთ სამშობლოს მეტი მარცვალი, ხორცი, რძე!

(დასასრული)

ზრუნავდნენ რა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და სპეციალისტებმა მაქსიმალურად გამოიყენეს მანქანა-ტრაქტორთა პარკი, გაადიდეს ნიადაგში შესატანი ორგანული სასუქების რაოდენობა, ორგანიზებულად დათესეს საშემოდგომო კულტურები გასული წლის შემოდგომაზე, აგრეთვე საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები, უზრუნველყვეს ნათესების კარგი მოვლა, წარმატებით დაამთავრეს წელს პურეულის მკა, სწრაფი ტემპებით აიღეს სიმინდის მოსავალი. მოსავლიანობის გადიდებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა იმან, რომ სახნავი მიწის დიდი ფართობები გადაქცეულ იქნა სარწყავად.

ჩვენ ძლიერ გვეხმარება სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, ეკონომიკის და სხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერებთან მეგობრობა. ფართოდ ვნერგავთ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს. საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და სიმინდის თესვისას პირველად გამოვიყენეთ სარეველებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებანი. თვითმფრინავებიდან ჰერბიციდებით დავამუშავეთ 800 ჰექტარი ხორბლისა და 300 ჰექტარი სიმინდის ნათესი. ჰერბიციდები ძალიან ხელსაყრელია მეურნეობისათვის. მათ საბჭოთა მეურნეობას დაუზოგეს 13 ათასი მანეთი, ხელი შეუწყეს მოსავლიანობის გადიდებას. სილოსის ჩადებას ვაწარმოებთ უპირატესად მიწისზედა წესით ბურტებად, მეცხოველეობაში მთლიანად დავნერგეთ ხელოვნური დათესვლა, სიბერწესთან საბრძოლველად ვიყენებთ „სუკ" პრეპარატს, მერძევეობის სასაქონლო ფერმებში ყველა შრომატევადი პროცესი მთლიანად მექანიზებულია.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა პირნათლად შეგვესრულებინა ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. ჩვენი საბჭოთა მეურნეობა პრაქტიკული საქმეებით უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ — გაადიდონ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვა და ბაძავს რა ყუბანელ მხვნელ-მთესველთა პატრიოტულ თაოსნობას, წარმატებით ასრულებს მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმებს. პურის პროდუქტების დამამზადებელ პუნქტზე ჩაბარებულია 204.600 ფუთი მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65.100 ფუთისა.

წლის ბოლომდე სახელმწიფოს ჩაბარდება: 95 ტონა ხორცი, რაც 15 ტონით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს, 1.000-მდე ტონა რძე, 130 ცენტნერი მატყლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 126 ტონისა, 470 ტონა ბოსტნეული ნაცვლად 400 ტონისა.

ჩვენმა მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს რძის ჩაბარების წლიური გეგმა შეასრულონ ვადაზე ადრე, ხოლო ხორცისა და მატყლის დამზადების წლიური დავალებანი რეალიზებული იყო ვადაზე თითქმის სამი თვით ადრე.

მაგრამ თელეთელები მიღწეულით ვერ დაკმაყოფილდებიან. პარტიამ და მთავრობამ სოფლის მშრომელებს დაუსახეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა — ყველა ღონისძიებით გაადიდონ მარცვლეულის წარმოება, რაციონალურად გამოიყენონ ყველა სარწყავი მიწა. ამ საკითხებს მიეძღვნა აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალური თათბირები სიღნაღში, გორსა და ზუგდიდში.

პასუხად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილისა „მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოების გადიდების შესახებ", ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, აწონ-დაწონა რა თავისი შესაძლებლობანი, **ვალდებულება იკისრა 1964 წელს მნიშვნელოვნად გაადიდოს მარცვლეული კულტურების ნათესები და სარწყავი მიწების ფართობები, უზრუნველყოს მეურნეობა მრწყველთა გამოცდილი კადრებით, ფართოდ გამოიყენოს ორგანული და მინერალური სასუქები, აგრეთვე სარეველა მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ ფართობებზე იხმაროს ჰერბიციდები.**

ვალდებულებას ვკისრულობთ 1964-1965 წლებში მივაღწიოთ მთელი სახნავის გადაქცევას სარწყავ მიწებად. თუ წელს 700 ჰექტარი ირწყვებოდა, უახლოეს ერთ-ორ წელიწადში სარწყავი მიწების ფართობი აყვანილ იქნება 3.500 ჰექტარამდე. წვნიანი და მწვანე საკვების მარაგის გასადიდებლად გავაფართოებთ სანაწვერალო კულტურების ნათესებს. ნაცვლად წლევანდელი 100 ჰექტარისა ნაწვერალზე ნათესი სიმინდის ფართობი 1964 წელს ჩვენთან სულ მცირე 700 ჰექტარს დაიკავებს. ეს და სხვა ღონისძიებანი შესაძლებლობას მისცემენ საბჭოთა მეურნეობას რამდენჯერმე გაადიდოს მარცვლეულის წარმოება, უხეში და წვნიანი საკვების დამზადება. **საკვები დიდი რაოდენობით რომ გვექნება, ძროხის სულადობას ავიყვანთ 3.000 სულამდე — ეს 2.000-ით მეტი იქნება იმაზე, რაც წლევანდელი წლის დამლევისათვის გვეყოლება. რძის წარმოებას 1964 წელს გავადიდებთ ერთნახევარჯერ, ხოლო 1965 წელს — ერთიორად წლევანდელთან შედარებით.**

საშემოდგომო თავთავიან კულტურებს ახლა ვთესავთ 2.200 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 ჰექტარისა. ამჟამად საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე მექანიზატორები საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. სწრაფი ტემპებით წარმოებს მზრალად ხვნა, გაჩაღებულია საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ზეგეგმითი თესვა. საშემოდგომო კულტურების ნათესებში სუპერფოსფატი შეგვაქვს, გაზაფხულზე კი სარწყავ მიწებზე ხორბლისა და ქერის ჭეჯილს აზოტოვანი სასუქებით გამოვკვებავთ. **ხორბლის საშუალო მოსავლიანობას ავიყვანთ 25 ცენტნერამდე. სამშობლოს ბეღლებში ჩავაბარებთ 220.000 ფუთ მარცვალს.**

მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის კოლექტივებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ უმდიდრესი რეზერვები იმისათვის, რომ უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მარცვლის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების წლიური გეგმები, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მარცვლეული კულტურების მომავალი წლის მოსავალს. მოვუწოდებთ ყველა მეურნეობის კოლექტივებს რაც შეიძლება მალე გამოამჟღავნონ და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მუშაობაში, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ უახლოეს ხანში გადააქციონ თავიანთი მეურნეობანი იაფი მარცვლეულის და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მსხვილ მწარმოებლებად.

თელეთის მეძროხეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის საერთო კრების დავალებით მიმართვას ხელს აწერენ: **გ. დალაქიშვილი** — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **რ. ჯაველიძე** — პარტბიუროს მდივანი, **ბ. ლალიძე** — მუშკომის თავმჯდომარე, **დ. ხოსიტაშვილი** — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, **ო. კენჭაძე** — ტრაქტორისტი, **გ. მეგულაშვილი** — მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, **ნ. ხელიმაშვილი** — მემინდვრე, **ნ. ქაჯაია** — მწველავი, **გ. ხახვიაშვილი** — მებოსტნეობის რგოლის ხელმძღვანელი.

ახალი პარტიული კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთა. — კმაყოფილებით შეხვდნენ სოფლის მშრომელები მცხეთის საწარმოო სამმართველოს შექმნას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონით რესპუბლიკაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიკავებს. სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განვითარებულია მემინდვრეობა, მევენახეობა-მებაღეობა და მეცხოველეობა. ახალი საწარმოო სამმართველო თავის წვლილს შეიტანს დედაქალაქის მშრომელთა მომარაგებაში ბოსტნეულითა და რძის პროდუქტებით.

გაიმართა მცხეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის გ. კავთიაშვილის მოხსენება.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საწარმოო სამმართველოში დიდი რეზერვებია მეურნეობის მრავალი დარგის და, მათ შორის, მარცვლეულის წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

• • •

შედგა ახლადარჩეული პარტიული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია გ. კავთიაშვილი, მდივნის მოადგილეებად — ზ. ბარისაშვილი და ნ. გავაშელი.

პარტიული ცხოვრება

ქუთაისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

წარმოება—კომუნისტების მთავარი საზრუნავი

უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ემზადებიან რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის კომუნისტები, ყველა მშრომელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის შესახვედრად.

ქუთაისის საქალაქო პარტიული კონფერენციის 730 დელეგატი — 9 ათასზე მეტი კომუნისტის წარმომადგენლები პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდნენ სკკპ პროგრამაზე, კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ ამოცანებზე, რომელთა განხორციელებისათვის მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით, შემოქმედებითად შრომობენ აგრეთვე ქუთაისის მშრომელები.

— პარტიის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, — თქვა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **შ. კობახიძემ**, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით უფრო ღრმად სწვდებოდნენ წარმოებას, სრულყოფდნენ და აუმჯობესებდნენ სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას. ამის შედეგად ქუთაისის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლედის განვლილი პერიოდის დავალებები. შვიდწლედის ოთხ წელიწადსა და ათ თვეში ქალაქის მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 46 პროცენტით ნაცვლად საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 40 პროცენტისა.

ქალაქის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო თვითღირებულების შემცირების გზით განვლილ პერიოდში მიღებულია 1 მილიონ 560 ათასი მანეთი ეკონომია.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ეს წარმატებები მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო კონკრეტულად მუშაობენ ტექნიკური პროგრესის საკითხებზე.

უკანასკნელ დროს საწარმოებში შეიქმნა 61 ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის მანქანა და აპარატი, მოეწყო 98 ავტომატური, ნახევრადავტომატური და კონვეიერული ხაზი, დაიდგა დიდი წარმადობის 872 ჩარხი და მანქანა, მოდერნიზებული იქნა 615 ჩარხ-დანადგარი.

ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით მიღებულია ასეულ ათასობით მანეთის ეკონომია. მარტო შარშან და მიმდინარე წლის ათ თვეში საავტომობილო ქარხანაში საწარმოო პროცესების შემდგომი ავტომატიზაციითა და მექანიზაციით მიიღეს 125 ათას მანეთზე მეტი ეკონომია, საკონსერვო ქარხანაში — 158 ათასი მანეთი, ხოლო ელექტრომექანიკურ ქარხანაში — 25 ათასი მანეთი.

წარმოების ტექნიკური სრულყოფისათვის ნაყოფიერად შრომობს 2.680 რაციონალიზატორი და გამომგონებელი. საანგარიშო პერიოდში წარმოებაში დაინერგა ნოვატორთა სამი ათასზე მეტი წინადადება, რომლებიც 2 მილიონ 65 ათას მანეთ წლიურ ეკონომიას იძლევიან.

ქუთაისში ფართო გაქანება მიიღო რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობამ, რომლის ინიციატორად ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ნოვატორი ამწყობი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ი. ხაზარაძე გამოვიდა. ახლა საწარმოებში შექმნილია რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის 15 ბრიგადა, ხოლო ამ საპატიო სახელისათვის ახლა ოცზე მეტი ბრიგადა იბრძვის.

უკანასკნელად საწარმოებში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ეკონომიური ანალიზისა და საკონსტრუქტორო ბიუროები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ წარმოების შიდა რეზერვების გამოვლინებისა და მათი გონივრულად გამოყენებისათვის. საზოგადოებრივმა საკონსტრუქტორო ბიურომ ელექტრომექანიკურ ქარხანაში დაამუშავა ვერტიკალური წნეხვის ჰორიზონტალურ წნეხად გადაკეთების პროექტი, ხოლო ლითოფონის ქარხანაში — ზეთის სასწორის ავტომატიზაციის პროექტი.

არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ზრუნვა დაედო საფუძვლად ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა შესანიშნავ თაოსნობას — საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა არა მარტო უარი თქვა სახელმწიფო დოტაციაზე, არამედ ვალდებულება იკისრა რენტაბელური მუშაობის გზით უკვე მიმდინარე წელს სახელმწიფოს მისცეს 700 ათასი მანეთი მოგება. განვლილი პერიოდის შედეგები მოწმობენ, რომ ავტომშენებლები სიტყვას საქმით ანაღდებენ.

წარმატებები არის. მაგრამ, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ამ კარგი მაჩვენებლების მიღმა ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი, ჩრდილოვანი მხარეა.

ძირითად ნაკლად კვლავ რჩება, ის, რომ პროდუქციის გამოშვების გეგმების საერთო შესრულებისას საწარმოთა ხელმძღვანელები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ივიწყებენ მთავარს — ნომენკლატურას, ასორტიმენტსა და ხარისხს.

ქალაქის 48 საწარმოდან გასულ წელს დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით დავალება ვერ შეასრულა 19, ხოლო მიმდინარე წლის ათ თვეში — 22 საწარმომ.

ბევრ საწარმოში დროულად და თანმიმდევრულად არ ხორციელდება წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის დასახული ღონისძიებები, რის გამო შრომატევად სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ხელით სრულდება. ასეა, მაგალითად, ელექტრომექანიკურ ქარხანაში. აქ სამსხმელო საამქროში ჯერ კიდევ 15 თებერვლამდე უნდა დაემთავრებინათ საყალიბო მასალების ხვიმირებში ტრანსპორტირების, ხოლო ივნისამდე — სხმულების გამობერტყვის მექანიზაცია. მაგრამ ღონისძიებები ქაღალდზე დარჩა. ეს მით უფრო დასანანია, რომ ამ საამქროში საერთო სამუშაოების 60 პროცენტი ხელით სრულდება.

ქალაქის საწარმოებში ცოტა როდია მკვდარი კაპიტალი, როცა წლობით გამოუყენებელი რჩება ძვირფასი მოწყობილობა. მაგალითად, საავტომობილო ქარხანაში დაუმონტაჟებელია 127.948 მანეთის დანადგარები, ელექტრომექანიკურ ქარხანაში — 188.312 მანეთისა, ხოლო აბრეშუმის კომბინატში — 118.618 მანეთისა.

საწარმოთა ერთ ნაწილში კვლავ ურიგდებიან დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. ამის გამო კონფერენციაზე სამართლიანად გააკრიტიკეს აბრეშუმისა და ტყავფეხსაცმლის კომბინატები, ავეჯისა და მაუდის ფაბრიკები.

გააკრიტიკეს მშენებლებიც. № 4 სამშენებლო ტრესტმა ვერ უზრუნველყო კაპიტალური მშენებლობის მიმდინარე წლის თერთმეტი თვის დავალების შესრულება. ჭიანურდება საავტომობილო ქარხნის ახალი ობიექტების აგება, ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის გაფართოება და ლითოფონის ქარხნის ახალ ქიმიურ სიმძლავრეთა მშენებლობა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა ლითოფონის ქარხნის პარტბიუროს მდივანი **ო. ოკუჯავა**.

— შვიდწლედის ბოლოსათვის, — თქვა მან, — ქარხნის კოლექტივმა ერთიორად უნდა გაადიდოს ქიმიური პროდუქტების გამოშვება. ამისათვის ვადაზე უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ ახალი ქიმიური სიმძლავრეები, მაგრამ ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები დაუშვებლად ჭიანურდება. მშენებლებმა მიმდინარე წლის ათ თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 83,8 პროცენტით შეასრულეს. იმის გამო, რომ ქარხანას დროულად არ უზრუნველყოფენ ბარიტის საკმაო და ხარისხოვანი მარაგით, იშლება ძირითადი პროდუქციის — მშრალი ლითოფონის გამოშვების დავალება. სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო და სამთამადნო ტრესტი კი ამ მხრივ ძალიან სუსტად ეხმარებიან ქარხანას.

— ქართული ავტომობილის მშენებლებმა, — თქვა ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორმა **შ. კიკნაძემ**, — დიდი მუშაობა გასწიეს ავტომობილის რთული კვანძებისა და დეტალების დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის, ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის მანქანების შექმნისათვის.

შ. კიკნაძემ კონფერენციას მოუთხრო იმ შემოქმედებითს აქტივობაზე, რითაც დაიწყო და წარმატებით გრძელდება ლაშქრობა რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატისათვის".

სიტყვას იღებს აბრეშუმის კომბინატის საქსოვი წარმოების მქსოველთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **ნ. ხვანიძე**. იგი ლაპარაკობს ბრიგადის წევრთა ერთსულოვან დარაზმულობაზე, შრომასა, სწავლასა და ყოფაცხოვრებაში ახალი, კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრებაზე. ბრიგადამ, რომელიც მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილს უშვებს, 28 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური დავალება და იკისრა წლის ბოლომდე 11.350 მეტრი ძვირფასი ქსოვილი მოქსოვოს.

ახალი ტექნიკის სიკეთეზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა **ა. ერგემლიძემ**. როგორც მან აღნიშნა, მარტო ლენტური საჩეჩი მანქანების საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად ფაბრიკამ 17.700 მანეთი წლიური ეკონომია მიიღო. ამავე დროს მანვე მიუთითა, რომ ფაბრიკაში გამოსაცვლელია ხუთი საჩეჩი აპარატი, აკლიათ ფასონური გრეხვისა და ბეწვის ამყრელი მანქანები, წლობით ჭიანურდება სავენტილაციო მოწყობილობის დადგმის სამუშაოები.

მშენებელთა მუშაობის საჭირბოროტო საკითხებზე გაამახვილა ყურადღება № 4 სამშენებლო ტრესტის მმართველმა **ო. ბიბილეიშვილმა**. მან აღიარა, რომ თუმცა ბინათმშენებლობის გეგმები გადამეტებით შესრულდა, ტრესტი სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში სამარცხვინოდ ჩამორჩა. ამის ერთ-ერთ მიზეზად ორატორს მიაჩნია ის, რომ აშკარად მოუქნელად მუშაობენ სუბმოიჯარადრე ორგანიზაციები.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, პარტიული ორგანიზაციები მთელ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. გაუმჯობესდა და შემდგომ გაფართოვდა კადრების ეკონომიური სწავლება, რაც დიფერენცირებულად, წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით იწყობა.

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური საერთო ცხოვრების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ქალაქის პროკურორმა **ა. ჟღენტმა**, მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა **გ. შალამბერიძემ**, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ **კ. კილაძემ** და სხვებმა.

ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების საკითხებზე ილაპარაკეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ **ი. გენძეხაძემ**, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **თ. იმედაძემ** და პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა **ი. გოზხეთელიანმა**.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. **შ. ჭანუყვაძემ**.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. **თ. ბადურაშვილმა**.

კონფერენციამ აირჩია პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატები.

გაიმართა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია შ. კობახიძე, მეორე მდივნად — ს. სიხარულიძე, მდივნად — თ. ვარდანაშვილი.

ზ. ჯამასპიშვილი,
შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის" რეიდი

ასე ფიქრობენ გამოზამთრებას?

მარგანეცის ქალაქში ზამთარი ძალაში შევიდა. 25 ნოემბერს მოთოვა და საკმაოდ მკაცრი ყინვები დაიჭირა. ბევრი მაღარო, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, მშენებლობა თუ დაწესებულება მოუმზადებელი შეხვდა ამ მკაცრ კონტროლიორს და ნორმალური მუშაობა შეფერხდა.

ისეთ დიდ საწარმოში, როგორიც ლენინის სახელობის მაღაროა, შექმნილი არ არის სამაგრი მასალის მარაგი. ცუდი გზის გამო პირველმა თოვლმა შეაფერხა ავტოტრანსპორტის მოძრაობა და მაღაროში 25 ნოემბერს ბიგები ვერ მიზიდეს. თუ ასე გაგრძელდა, მუშაობა გაძნელდება. ამ მხრივ ეს მაღარო გამონაკლისი როდია. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს რგანის ზეგანის მეექვსე და მეშვიდე საწარმოო უბნებს არც ერთი კუბმეტრი ბიგის მარაგი არ გააჩნიათ, იქ მისასვლელი გზები უვარგისია და პირველი წამოთოვაც კი დაეტყო საწარმოო მაჩვენებლებს.

ლენინის სახელობის მაღაროს საკმაო რაოდენობით არც ქვანახშირის მარაგი აქვს. ამ მაღაროს კოროხნალისა და სათარის სამ საცხოვრებელ ბინაში წყალი ჩამოდის და მისი შეკეთება დროულად ვერ მოახერხეს. ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა აგრეთვე ლენინის სახელობის მაღაროს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა. მისი მრავალსართულიანი კორპუსის ფანჯრები მთლიანად მოუმინავია. სავალალო მდგომარეობაშია ფაბრიკის ცენტრალური გათბობის სისტემა. მისი საქვაბე წელს უნდა გადაკეთებულიყო, მაგრამ ეს ჯერჯერობით არავის გახსენებია. უარესი მდგომარეობაა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მადნის გამამდიდრებელ № 5 და № 11 ფაბრიკებში. მათი კედლები ბევრგან შეუფიცრავია, ფანჯრები მოუმინავია, არ გააჩნიათ საწვავი. ფაბრიკების სახურავში წყალი ჩამოდის. ყოველივე ეს ამცირებს მუშათა შრომის ნაყოფიერებას, აზიანებს მანქანა-დანადგარებს. ასევე ითქმის რგანის საჰაერო-საბაგირო გზის სამანქანო და გადამტვირთავ სადგურებზე. ზამთრისათვის მზადების საკითხზე იმსჯელა გამამდიდრებელი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ღია კრებამ, დადგენილებაც მიიღეს, მაგრამ ობიექტების ხელმძღვანელებმა დადგენილების ბევრი მუხლი არ შეასრულეს.

ჭიათურაში ერთი მეტად ცუდი და გაუმართლებელი ტრადიცია დამკვიდრდა. საცხოვრებელ ბინებს აშენებენ, მაგრამ ბევრ სამუშაოს შეუსრულებლს ტოვებენ. ამის შემდეგ იწყება მობინადრეთა მუდარა და დავაც, მაგრამ მათ სამართლიან მოთხოვნებს უყურადღებოდ ტოვებენ მშენებლები. ჭიათურაში ცენტრალური გათბობის სისტემა რომ მოუწესრიგებელია, ეს არავისთვის სადავო არ არის. ამაზე გულისტკივილით ლაპარაკობენ არა მარტო მაღაროებსა და ნაგუთის დიდ დასახლებაში, არამედ თვით ქალაქის ცენტრშიც. მრავალთაგან მხოლოდ ერთ შემთხვევას მოვიყვანთ. მესამე წელია კომკავშირის ქუჩაზე მარგანმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველომ (უფროსი შ. ნოზაძე) საექსპლოატაციოდ გადასცა საცხოვრებელი სახლი. იქ მცხოვრებლები შესახლეს. მაშინ ზაფხული იყო და მობინადრეებს დაპირდნენ, რომ ზამთრისათვის უეჭველად ააშენებდნენ ცენტრალური გათბობის საქვაბეს და ბინებს გაათბობდნენ. მაგრამ საქვაბის მშენებლობა დაიწყეს და მცხოვრებლებმა პირველი ზამთარი სიცივეში გაატარეს (ამ ბინებში გათვალისწინებული არ არის ღუმელების დადგმაც კი).

მოსალოდნელი იყო, რომ შემდეგ წელს მაინც იფიქრებდნენ საქვაბის მშენებლობაზე, რადგან საჩივარი საჩივარზე იწერებოდა. ერთხანს მშენებლებმა მართლაც წაიმუშავეს, მაგრამ საქმე კვლავ დაუმთავრებელი დატოვეს. ამას მეორე დაუდევრობაც დაერთო. ამ საცხოვრებლის ახლოს მეორე საცხოვრებელი ააშენეს და მის ბალავერში პირველი სახლის ცენტრალური გათბობის მილები მოაყოლეს, რითაც დაზიანდა გათბობის სისტემა, ხოლო საქვაბის მშენებლობა კვლავ იგვიანებდა.

მიმდინარე წლის 11 სექტემბერს საქალაქო გაზეთმა „ჭიათურის მაღაროელმა" ამის თაობაზე დაბეჭდა კორესპონდენცია სათაურით „ცენტრალური გათბობის სისტემა სახლის ბალავერში". მობინადრეებს საჩივარი ზემდგომ ორგანოებშიც გაეგზავნათ. საქმეში პარტიის ჭიათურის ქალაქკომიც ჩაერია.

ჭიათურის მარგანმშენის ტრესტის მმართველის გ. შანიძის 19 სექტემბრის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელმაც დაადასტურა საჩივრის სისწორე. ბინათმშენებლობის უფროსს შ. ნოზაძეს და მთავარ ინჟინერს ხ. ცხადაიას ქვემოიჯარადრე ორგანიზაციებთან ერთად დაევალათ ეს ობიექტი მიეჩნიათ პირველი რიგის სამუშაოდ, შეედგინათ გრაფიკი, სამ დღეში შესდგომოდნენ მუშაობას და ცენტრალური გათბობის სისტემა მზად ყოფილიყო 15 ოქტომბრისათვის. ოქტომბერიც გავიდა და ნოემბერიც, უკვე მკაცრი ყინვები დაიწყო, მაგრამ მობინადრეებს გათბობა მაინც არა აქვთ. რა არის ეს — საბჭოთა ადამიანების აბუჩად აგდება თუ უფრო მეტი? არაფერს ვიტყოდით, რომ ეს ერთეული შემთხვევა იყოს. ამ საქმეში წესრიგი უნდა დამყარდეს.

ჭიათურაში ერთობ მტკივნეულია მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის საკითხიც. მცხოვრებთა უმრავლესობა საწვავად ჯერ კიდევ შეშას ხმარობს, მაგრამ ქალაქში არ არის ორგანიზაცია, რომელიც მის შემოზიდვაზე ფიქრობდეს. ეს საკითხიც აუცილებელ მოგვარებას მოითხოვს.

მარგანეცის ქალაქის მშრომელებს უნდა ჰქონდეთ ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისა და ნორმალური ცხოვრების პირობები.

რეიდის მონაწილენი: ა. ცერცვაძე — ლენინის სახელობის მაღაროს ზეინკალი, **ლ. ბიწაძე** — ამავე მაღაროს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე, ზეინკალი, **ი. სალაძე** — ფაბრიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წევრი, **გ. სამხარაძე** — ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელი ფაბრიკის ზეინკალი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი, **შ. ხვედელიძე** — ამავე ფაბრიკის ზეინკალი, **ვ. მასხარაშვილი** — გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, **პ. ჭიოკაძე** — გაზეთ „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გორელ მეჭარხლეებთან

რეპორტაჟი გორის საწარმოო სამმართველოდან

ოქროს შემოდგომა ტოვებს ქართლის ბარაქიან მიწას. ხშირად წვიმს, აცივდა კიდეც, მაგრამ საკოლმეურნეო ველ-მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში მუშაობა არ წყდება. მემინდვრეები აქედანვე საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად, მზრალად ხნავენ ნიადაგს, იმარაგებენ თესლს. მეხილეები ბაღებს შესევიან, საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს ასრულებენ. კვლავ ბევრი საქმე აქვთ მეჭარხლეებს, იჩქარიან, იღებენ უხვ მოსავალს.

შაქრის ჭარხლით დატვირთული ავტომანქანების კოლონები განუწყვეტელ ნაკადად მოდიან **ფლავიდან** და **ქვახვრელიდან**, **ახალუბნიდან** და **ქარელიდან**, **ზერტიდან** და **ზელდულეთიდან**, საწარმოო სამმართველოს მეჭარხლეობის ყველა კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან. ყოველდღიურად მარტო შაქრის ჭარხლის გორის მიმღები პუნქტი 12-13 ათას ცენტნერ ჭარხალს იღებს.

„ტკბილ პლანტაციებში" წელს განსაკუთრებით კარგი მოსავალია.

ამ წერილისათვის მასალებს რომ ვიღებდი, საწარმოო სამმართველოში სასიხარულო ცნობა მოვიდა: 27 ნოემბრისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიმღებ პუნქტებში უკვე გადაზიდული ჰქონდათ 677 ათასი ცენტნერი ჭარხალი, იმაზე მეტი, რასაც სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა ითვალისწინებდა.

გორელ მეჭარხლეთა ამ შრომითს გამარჯვებას ერთიმეორეს ულოცავდნენ საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **რევაზ ბზიშვილი** და სამმართველოს უფროსი **იაკობ ტოლიაშვილი**.

— სახელმწიფოს კიდევ რამდენი ცენტნერი ჭარხალი ჩაბარდება? — ვკითხე საწარმოო სამმართველოს უფროსს. მან მიპასუხა:

— კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შაქრის ჭარხალი მიმღებ პუნქტებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვთ გადასაზიდი. გარდა ამისა, 115 ათას ცენტნერ ჭარხალს ისინი პირუტყვის საკვებად დათესილი ფართობიდან ჩააბარებენ.

„ოქროს ჰექტარებს" უწოდებენ გორში „ტკბილი პლანტაციის" იმ ჰექტარებს, რომლებზეც შაქრის ჭარხლის მოსავალი გეგმასთან შედარებით ორჯერ მეტია.

„ოქროს ჰექტარების" დიდი ფართობი თუ გინდათ ნახოთ, მაშინ **ფლავში**, **ქვახვრელში** ან **ახალუბანში** უნდა წახვიდეთო, გვითხრეს საწარმოო სამმართველოში.

ზედაველადან კარგად ჩანს ბაღებში ჩაფლული კრამიტის სახურავიანი სახლები. ეს სოფელი ქვახვრელია. აქაურ კოლმეურნეებს შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მოყვანის თავიანთი გამოცდილება აქვთ. ქვახვრელელები ყოველწლიურად მნიშვნელოვანი გადამეტებით ასრულებენ ჭარხლის მოსავლიანობის გეგმებს. ჰექტარზე 500-600 ცენტნერ ჭარხალს ქვახვრელში დიდ მოსავლად აღარ თვლიან, თუმცა ეს გეგმას 100-200 ცენტნერით აღემატება. ახლა ისინი საქმეს „ოქროს ჰექტარების" რაოდენობით აფასებენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **არტემ მღებრიშვილმა** გვითხრა, რომ წელს ასეთ ფართობს თორმეტნახევარი ჰექტარი ეკავა. მემინდვრეობის მეოთხე და პირველი ბრიგადები „ოქროს ჰექტარების" პატრონები არიან.

— ჩაგვაწერინეთ, ამ ბრიგადებმა შაქრის ჭარხლის როგორი მოსავალი მიიღეს? — ვთხოვე თავმჯდომარეს.

მღებრიშვილმა ბლოკნოტი გადაშალა და თქვა:

პირველმა ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 850 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა, მეოთხე ბრიგადამ კი — 997 ცენტნერი.

— კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე რამდენ ცენტნერ ჭარხალს იღებთ?

— 776 ცენტნერს!

— გეგმით რამდენი უნდა მოგეყვანათ?

— 400 ცენტნერი.

— მეოთხე ბრიგადას ჰექტარზე თითქმის ათასამდე ცენტნერი ჭარხალი მოუყვანია, არა? შევეკითხე თავმჯდომარეს.

— დაახლოებით!

— ბრიგადას ვინ ხელმძღვანელობს!

— მეოთხე ბრიგადას **სარქის გალუსტაშვილი**, პირველს — **ნიკოლოზ თათარიშვილი**.

— ვერ ვნახავთ გალუსტაშვილს?

— როგორ არა!

მინდვრისაკენ მიმავალ საშუალო ტანის შავგვრემან ვაჟკაცს სარქის გალუსტაშვილს სოფლის ბოლოს შევხვდით. გამოველაპარაკეთ. გალუსტაშვილმა გვითხრა:

— მუშაობაში საიდუმლო და განსაკუთრებული არაფერი გვაქვს. ყველას შეუძლია შაქრის ჭარხლის ისეთი მოსავლის მოყვანა, როგორიც წელს ჩვენ მივიღეთ, თუ ჭარხლის დასათესად ნიადაგს შემოდგომიდანვე კარგად მოვამზადებთ, მზრალად ხვნის წინ სასუქებით გავანოყიერებთ, ადრე გაზაფხულზე კი ავვოშავთ, დავთესავთ მაღალხარისხოვნად, თესვასთან ერთად საჭირო რაოდენობით შევიტანთ მინერალურ სასუქებს და წყვილი ფოთლის გამოჩენისთანავე შევუდგებით მცენარის მოვლას. მოვლის რომელიმე სამუშაოს დაგვიანება ამცირებს მოსავალს.

— იქნებ მოწინავე ადამიანთა გვარები გვითხრა?

— ბრიგადაში თითქმის ყველა მოწინავეა. არ არის ისეთი რგოლი ან ცალკეული კოლმეურნე, რომელსაც ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა ორმაგად არ ჰქონდეს შესრულებული.

— დაასახელეთ რამდენიმე!

— **ბაგრატ სირანაშვილი!** მოწინავე მერგოლურია. მისმა რგოლმა ბრიგადაში შაქრის ჭარხლის ყველაზე მაღალი მოსავალი მიიღო.

— მაინც რამდენი?

— ჰექტარზე 1.112 ცენტნერი!

— კიდევ?!

— **მარიამ ორთანეზაშვილი.** ესეც მერგოლურია! მისმა რგოლმა ჰექტარზე 1.105 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა.

ნათქვამია, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, სწორედ ასეა. „ოქროს ჰექტარების" რაოდენობით საწარმოო სამმართველოში სოფელ ფლავის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე **შოთა ეცადაშვილი**) მაინც ყველას უსწრებს.

ფლაველები საშუალოდ ჰექტარზე 900 ცენტნერ ჭარხალს იღებენ. გეგმით კი 400 ცენტნერია ნავარაუდევი. ყველაზე მაღალი მოსავალი — ჰექტარზე 1.300 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა კოლმეურნეობის მემინდვრეობის მერვე ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი კოლმეურნე **ვიქტორ ფინდიშვილი** ხელმძღვანელობს. მას არც მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადა (ხელმძღვანელი **ილია თენაძე**) ჩამორჩა. ეს ბრიგადა საშუალოდ ჰექტარზე 1.200 ცენტნერ ჭარხალს იღებს და აბარებს სახელმწიფოს.

ზელდულეთელი სვეტლიჩნი. სამართლიანად ეძახიან ასე სოფელ ზელდულეთის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორს **გიორგი ცერცვაძეს**.

„კომუნისტის" მკითხველებმა იციან, რომ შარშანწინ იგი ყუბანში ეწვია ჩვენი ქვეყნის სახელოვან მექანიზატორს ვლადიმერ სვეტლიჩნის, რათა ახლოს გასცნობოდა მის მუშაობას. ცერცვაძემ რესპუბლიკაში პირველმა დაიწყო შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანა კომპლექსური მექანიზაციით და სასურველ შედეგსაც მიაღწია. ყოველწლიურად ამცირებს ცენტნერი ჭარხლის წარმოებაზე შრომითს დანახარჯებს და ზრდის მოსავლიანობას.

როგორ აწყობს ზელდულეთელი სვეტლიჩნი შაქრის ჭარხლის მოვლას ახალი მეთოდით?

მექანიზებული რგოლი, რომელსაც ცერცვაძე ხელმძღვანელობს, წყვილი ფოთლის გამოჩენისთანავე ნათესს ფარცხავს ბადისებრი ფარცხით 25-35 გრადუსის დახრით, რითაც ნიადაგი მსუბუქად ფხვიერდება. ამასთან ხდება გამოხშირვაც. როცა მწკრივები კარგად გამოჩნდება, კულტივაციას ატარებს, შაქრის ჭარხალს დამატებით კვებავს მანქანით. ასევე ჭარხალს იღებს ტრაქტორზე ჩამოსაკიდი სპეციალური სათხრელით.

შრომის შედეგით გახარებულები არიან **ქარელელი** კოლმეურნე მეჭარხლეებიც. აქ შაქრის ჭარხლის პლანტაციას 102 ჰექტარი ეჭირა. მცენარეს კარგად მოუარეს. მარტო სამჯერ დამატებით გამოკვებეს სასუქით. საამოდ გაიხარა ჭარხალმა. კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ხ. რაზმაძე) საშუალოდ ჰექტარზე 573 ცენტნერ ჭარხალს იღებს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 274 ცენტნერისა. ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებში კიდევ უფრო მაღალი მოსავალია.

ამინდის გაუარესება ერთგვარად აფერხებს შაქრის ჭარხლის მინდვრიდან მიმღებ პუნქტებში გადაზიდვას, მაგრამ სიძნელეები დაძლეულ იქნება და შაქრის ჭარხალი უდანაკარგოდ ჩაბარდება მიმღებ პუნქტებს.

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, გორელო მეჭარხლეებო!

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მექანიზატორი გ. ცერცვაძე.

მერგოლური ბ. სირანაშვილი.

ბრიგადირი ს. გალუსტაშვილი.

ბრიგადირი ი. თენაძე.

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები ცნობები მიმოხილვა

კოსმოსის გმირთა პატივსაცემად

ჯაკარტა, 30 ნოემბერი. (საკდესი). 30 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა გუშინ სამხრეთ სუმატრის მთავარი ქალაქის პალემბანგის ცენტრალურ მოედანზე, რათა მისალმებოდა საბჭოთა კოსმონავტებს ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვას, ანდრიან ნიკოლაევსა და ვალერი ბიკოვსკის, რომლებიც მოგზაურობენ ინდონეზიაში.

საღამოს სამხრეთ სუმატრის გუბერნატორის რეზიდენციაში საბჭოთა კოსმონავტების პატივსაცემად გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ინდონეზიელი მსახიობები, აგრეთვე საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა ჯგუფი, რომელიც საგასტროლოდ იმყოფება სუმატრაში.

პარიზი, 2 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ საბჭოთა კავშირის საელჩოში გაიმართა ცერემონია საფრანგეთის ქალაქ მონტრეის მოქალაქეთა საჩუქრების გადაცემისა საბჭოთა კავშირის გმირს კოსმონავტ მფრინავის ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვასათვის. სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა, რომელმაც საჩუქრები ჩაიბარა, მადლობა გადაუხადა მონტრეის მცხოვრებთა დელეგაციას, რომელსაც ქალაქის მერი ბატონი გრეგუარი მეთაურობდა, და დაჰპირდა, რომ დაუყოვნებლივ გადასცემს საჩუქრებს ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვას.

ინგლისელი კომუნისტების პოზიცია

ლონდონი, 2 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ მანჩესტერში კრებაზე გამოვიდა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჯონ გოლანი. მან გააკრიტიკა კონსერვატორთა მთავრობის საგარეოპოლიტიკური კურსი, რომლებიც, როგორც მან თქვა, მოითხოვენ ბომბს, მხარს უჭერენ კოლონიზატორთა ქმნილებას — მალაიზიას, იმუქრებიან, რომ ძალას გამოიყენებენ ბერლინში და ამერიკის ძლიერების იმედი აქვთ. გოლანმა აღნიშნა, რომ ლეიბორისტული პარტია ძირითად საკითხებში, მათ შორის დასავლეთ ბერლინისა და მალაიზიის პრობლემებში, ამავე პოლიტიკას იცავს.

საჭიროა ბოლო მოეღოს ნატოს ატომურ შეიარაღებასა და ატომურ სტრატეგიას, განაცხადა გოლანმა.

მშვიდობის, მეგობრობის ესტაფეტა

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარი, 30 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე დიდი ზეიმია. აქ ჩამოიტანეს მეგობრობისა და მშვიდობის ესტაფეტები, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 20 წლისთავისა და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისადმი.

სასაზღვრო საგუშაგოს ტრიბუნაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ადიან ჩეხოსლოვაკიელი და საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც საზღვარზე ჩამოიტანეს ესტაფეტების ემბლემები და თავიანთი ხალხების წერილები.

სლოვაკიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ მიხალ ხუდიკმა ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა სახელით ძმური სალამი გადასცა დიდ საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც მეთაურობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

გულთბილად მიესალმა ჩეხოსლოვაკიის წარგზავნილებს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. ტრონკო.

საკავშირო პროფსაბჭოს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის დავალებით პ. ტ. ტრონკომ წაიკითხა საბჭოთა ხალხის წერილი ჩეხოსლოვაკიელი ხალხისადმი.

პ. ტ. ტრონკომ და მიხალ ხუდიკმა გაცვალეს წერილები და ესტაფეტის ემბლემები. კვლავ გაისმის სახელმწიფო ჰიმნები, მისასალმებელი შეძახილები, გამარჯვებას უსურვებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას, მეგობრობასა და მშვიდობას.

იმავე დღეს უჟგოროდში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საღამო.

პროვოკაცია არ გაუვათ!

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). კუბის წინააღმდეგ ახალ პროვოკაციას ამზადებენ. ამჯერად ამ პროვოკაციის ინიციატორი არის ვენესუელის ბეტანკურის მთავრობა, რომელმაც ბრალი დასდო კუბას, რომ თითქოს იგი იარაღს აწვდის ვენესუელას „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ განხორციელებისათვის. ვენესუელის მთავრობამ მოითხოვა განიხილონ ეს საკითხი ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში ფილიპსმა გუშინ განაცხადა, რომ კუბა აწყობს „აგრესიას“ ვენესუელის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადება წამოაყენეს დააწესონ „კონტროლი“ ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ერთად იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ „იარაღის ექსპორტის ცდებს“.

მონტევიდეო, 30 ნოემბერი. (საკდესი). ურუგვაის კუბის დაცვის ეროვნულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ვენესუელის ბეტანკურის მთავრობის პროვოკაციას, რომელმაც დაუსაბუთებლად ბრალი დასდო კუბას ვენესუელაში იარაღის გაგზავნის გამო.

იმის გამო, რომ ვენესუელელ ჯალათს ძალა არ შესწევს შეაჩეროს ვენესუელის „ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებული ძალების ბრძოლა, ნათქვამია განცხადებაში, იგი მოითხოვს მოიწვიონ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭო, რომელშიც ამერიკის იმპერიალიზმის ბევრი ლაქია მხარს უჭერს კოლექტიურ ინტერვენციას კუბის წინააღმდეგ. „ამზადებენ ახალ, პლაია-ხირონის ტიპის უფრო დიდი მასშტაბის თავდასხმას“, — ნათქვამია განცხადებაში. კუბის დაცვის ეროვნული კომიტეტი მოუწოდებს ურუგვაის მშრომელებს გაამახვილონ სიფხიზლე და მებრძოლი სოლიდარობა გამოუცხადონ კუბის ხალხს. იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამერიკის იმპერიალიზმის მარიონეტს — ბეტანკურს და აღნიშნავს, რომ მორიგი პროვოკაცია კუბის წინააღმდეგ კვლავ ჩაიფუშება.

მოძმე ქვეყნებში

სლოვაკი მკითხველებისათვის

სლოვაკი მკითხველები თავის დედაენაზე იღებენ თანამედროვე საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებს. მხატვრული ლიტერატურის დაახლოებით ნახევარს, რომელსაც სლოვაკიის ექვსი გამომცემლობა უშვებს, საბჭოთა ავტორების ნაწარმოებები შეადგენენ.

ყოველწლიურად წიგნის მაღაზიებში იღებენ საბჭოთა პროზაიკოსების, პოეტებისა და დრამატურგების დაახლოებით 100 ნაწარმოებს. შოლოხოვის, გორკისა და მაიაკოვსკის ნაწარმოებები რამდენჯერმე გამოიცა.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის განმავლობაში წიგნის ბაზარზე გამოვა სლოვაკურ ენაზე თარგმნილი საბჭოთა მწერლების ახალი ნაწარმოებები. (საკდესი).

მწყობრშია ორი ობიექტი

ულან-ბატორი. მონღოლეთის დედაქალაქში დამთავრდა და მწყობრში ჩადგა კიდევ ორი ობიექტი ულან-ბატორის სკკპ XXII ყრილობის სახელობის საფქვავი კომბინატისა, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა. ამ ობიექტებით დამთავრდა კომბინატის გაფართოების მეორე ეტაპი.

დრამატურგთა კონფერენცია

ბუდაპეშტი. აქ დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების დრამატურგთა კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს თანამედროვე სოციალისტური დრამატურგიის განვითარების პრობლემები და გზები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგაციებმა. (საკდესი).

თერმოატომური იარაღი — კანონგარეშე!

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე

ვარშავა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია 1 დეკემბერს განაგრძობდა მოხსენებათა განხილვას მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობისათვის ბრძოლის საკითხებზე. უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის წარმომადგენლებმა და მეტმა წილმა სხვა დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, რომელიც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა მძლავრი მოძრაობა გაიშალა საფრანგეთში ფრანგული ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ერთობა, თავიდან ავიცილოთ გათიშვა. ახლა უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, საჭიროა ერთობა, განაცხადა კალავიემ, რომლის სიტყვებსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ სესიის მონაწილენი.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, განის, კენიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდონეზიისა და ინდოეთის წარმომადგენლები.

ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულებას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სხდომაზე მხარი დაუჭირეს ინგლისის, ჩილის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. ჩვენ, განაცხადა იაპონიის დელეგატმა იასუიმ, შეიძლება სხვადასხვაგვარად ვაფასებდეთ მოსკოვის ხელშეკრულებას. მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ძალების გაერთიანებას ატომური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მოსკოვის ხელშეკრულება გააკრიტიკა ალბანეთის წარმომადგენელმა შუტერიჩიმ. ხელშეკრულების წინააღმდეგ მის გამოხდომებს საკადრისი პასუხი გასცა გ. პირინსკიმ. (ბულგარეთი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დღის პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ მექსიკის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ცეილონის, სუდანის, პორტუგალიის, აფრიკის კოლონიების, ავსტრალიის წარმომადგენლები.

პლენარულმა სხდომამ ცხადყო, რომ მშვიდობისათვის მებრძოლთა დიდი უმრავლესობა აღსავსეა სურვილითა და მისწრაფებით იბრძოლოს მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში, იწონებს მოსკოვის ხელშეკრულებას, გადაჭრით გამოდის ნატოს სამხედრო ბლოკის გეგმების — მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის წინააღმდეგ, მოითხოვს რაკეტულ-ატომური ბაზების მოსპობას სხვის ტერიტორიებზე.

1 დეკემბერს საღამოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია განაგრძობდა მუშაობას კომისიებში. (საკდესი).



სამხრეთ როდეზიაში ფართოვდება ბრძოლა თეთრკანიანთა იმ ბატონობის ლიკვიდაციისათვის, რომელიც არსებული კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. ეს კონსტიტუცია უფლებებს უსპობს ამ ქვეყნის მოსახლეობის ძირითად მასას — ზანგებს. ხალხი მის გაუქმებას მოითხოვს. რასისტები სასტიკად ახშობენ ზანგების გამოსვლებს. დემონსტრაციებისა და მიტინგების გარეკვის დროს პოლიციელები იყენებენ სპეციალურად დაგეშილ ძაღლებს, რომლებსაც ზანგებს უსისიანებენ.

სურათზე: ერთ-ერთი შემთხვევა, როცა პოლიციელი უსწორდება დემონსტრაციის დაპატიმრებულ მონაწილეს.

ფოტო იუპი-საკდესისა.

ძმური დახმარება

29 ნოემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და კუბის რესპუბლიკის რევოლუციურმა მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ უდიდესი ზარალის გამო, რაც გრიგალმა „ფლორამ“ კუბას მიაყენა, საბჭოთა კავშირიდან კუბაში გაიგზავნოს მოწყობილობის კომპლექტი დიდპანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნისათვის.

შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირი უსასყიდლო დახმარების წესით 1964 წელს კუბაში გარდა აღნიშნული მოწყობილობისა (ქარხნის სიმძლავრეა 70.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი წელიწადში), კუბაში გაგზავნის სატრანსპორტო საშუალებებს და სამონტაჟო-სამშენებლო მოწყობილობას. საბჭოთა ორგანიზაციები აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ ქარხნის მშენებლობას. (საკდესი).

ერაყელ მფრინავს მისცეს პოლიტიკური თავშესაფარი

ბაქო, 30 ნოემბერი. (საკდესი). ახლახან ადგილობრივ ხელისუფლებას ერაყის არმიის ლეიტენანტმა ზუჰერ აბდელ ვაჰი ელ-სერინმა სთხოვა, რომ მისცენ პოლიტიკური თავშესაფარი. ერაყელი მფრინავი დაბადებულია 1939 წელს. მან განაცხადა, რომ არ ეთანხმება ერაყის მთავრობის პოლიტიკას და არა სურს მონაწილეობდეს ძმათამკვლელ ომში ერაყის ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ლეიტენანტი ზუჰერი სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე გადმოფრინდა და დაჯდა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ნახჭევნის აეროდრომზე.

ზუჰერის თხოვნა, რომ მისთვის მიეცათ პოლიტიკური თავშესაფარი, დაკმაყოფილებულია.

საიათნოვას ხსოვნის საღამო ლონდონში

ლონდონი, 30 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. მელიქიანი იუწყება:

ზეიმით აღნიშნა დიდი პოეტი-მომღერლის საიათნოვას დაბადების 250 წლისთავი ლონდონის სომეხთა საზოგადოებრიობამ.

ინგლისის დედაქალაქის ერთ-ერთ სააქტო დარბაზში — კექსტონ-ჰოლში გუშინ გაიმართა სომეხი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

სომეხმა მუსიკოსმა რაფი არმენიანმა ილაპარაკა საიათნოვას შემოქმედების მუსიკალურ ტრადიციებზე. ვრცელი მოხსენება საიათნოვას ცხოვრების, შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის შესახებ გააკეთა ნერსეს ბოზაბალიანმა. მოხსენების დროს სრულდებოდა პოეტის სიმღერები და ლექსები.

საღამო მოაწყო ლონდონის „სომეხთა სახლის“ კულტურულ ღონისძიებათა კომიტეტმა.

სომხეთის მსახიობთა წარმატება

პარიზი, 30 ნოემბერი (საკდესი). დამთავრდა საბჭოთა სომხეთის მსახიობთა ჯგუფის გასტროლები, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ მოწვევით. სომეხმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა დიდი წარმატებით გამართეს კონცერტები პარიზსა და საფრანგეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

რაშიდ მუსლეჰის განკარგულება

ბეირუთი, 30 ნოემბერი (საკდესი). ბაღდადის რადიომ გამოაქვეყნა ერაყის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის რაშიდ მუსლეჰის განკარგულება. ეს განკარგულება აფრთხილებს ბაასისტთა დაშლილი „ეროვნული გვარდიის“ წევრებს, რომ სიკვდილით დასჯიან იმ პირებს, რომლებიც იარაღს არ ჩააბარებენ ხელისუფლებას 5 დეკემბრამდე.

დიდი კატასტროფა

როგორც დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, კანადაში მალე აფრენის შემდეგ დაიმსხვრა „დს-8“ სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავი. დაიღუპა 111 მგზავრი და ეკიპაჟის შვიდი წევრი. ფიქრობენ, რომ ეს უდიდესი საჰაერო კატასტროფაა კანადის ისტორიაში. (საკდესი).

არჩევნები ავსტრალიაში

კანბერა. ფედერალური პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის ვადამდე არჩევნებში, რაც ავსტრალიაში გაიმართა, მმართველი ლიბერალური და აგრარული პარტიების კოალიციამ შეინარჩუნა დეპუტატების მანდატთა უმრავლესობა. 122 ადგილიდან უკვე გამორკვეულია 117 ადგილის ბედი. მათგან 68 ახლა ეკუთვნის კოალიციის დეპუტატებს, ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს მხოლოდ 49 ოლქში. დანარჩენი ხუთი ადგილის ბედი გამოირკვევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დამთავრდება ხმების დათვლა. (საკდესი).

მძიმე ლახვარი ამერიკის პრესტიჟს

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ჟურნალ „ნიუ-იორკ პოსტის“ 29 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ამერიკელი კორესპონდენტის ჯოზეფ ბარის სტატია „ამერიკის გამოცდა“, რომელიც გამოგზავნილია პარიზიდან და მიეძღვნა იმას, თუ როგორ გამოეხმაურნენ მთელ მსოფლიოში პრეზიდენტ კენედის მკვლელობას. სტატიაში, კერძოდ, ნათქვამია:

„ახლა ჩვენი გამოცდაა მთელი მსოფლიოს წინაშე, და ეს უნდა ვიცოდეთ. ჩვენ უნდა გავიგოთ აგრეთვე, თუ რა ცუდი სახელი გაგვივარდა მთელ მსოფლიოში.

ამერიკის პრესტიჟი დაეცა, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ აულაგმავი ძალადობა გვაქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში. სადღაა კანონიერება, წესრიგი, სტაბილობა და წესიერება ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიული სამყაროსადმი ხელმძღვანელობის პრეტენზიას აცხადებს.

მკვლელობის ამ აქტმა უცბად თავისთავად ჩაგვცა მძიმე ლახვარი, რადგან სავსებით ცხადი იყო, რომ ამისათვის შესაფერი ატმოსფერო შექმნეს იმათ, ვინც იმ ადამიანთა ზურგს ეფარებოდა, რომლებსაც ხელში იარაღი ეჭირათ. მაგრამ მკვლელობამ გამოიწვია ჯაჭვური რეაქცია — პოლიციის დაუდევარი და ლამის ნებაზე მიმშვები მოქმედება, რასაც მოჰყვა მკვლელის თვითნებური გასამართლება, — ოსვალდის მკვლელობა ტელევიზორის ეკრანებით აჩვენეს მთელ ევროპაში და ამან აავსო ფიალა. მწუხარება მალე გადაიქცა საშინელებად. თუ ასეთია ამერიკა, ღმერთმა ყველას გვიშველოს! თითოეული ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი და საერთოდ ყოველი უცხოელი, რომლებთანაც ვისაუბრე, იქნებოდა ეს დიპლომატი, მუშა თუ ჟურნალისტი, — საეჭვოდ ხდის პრეზიდენტის დაღუპვით დაწყებულ და მისი მკვლელის სიკვდილით დათავებულ მთელ ტრაგიკულ ამბავს. თუ რამდენიმე დღის წინათ ტელეფონით სამძიმარს გვიცხადებდნენ, ახლა ეჭვის თვალით გვიყურებენ.

არა მარტო კომუნისტური „ლიუმანიტე“, არამედ „მონდიც“ — მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთი, ზედიზედ უთმობს გვერდებს ამ ეჭვს. ჩემს საწერ მაგიდაზეა ათობით ამონაჭერი გაზეთებიდან, რომლებიც გამოთქვამენ ამავე ეჭვს, — ამონაჭრები არა მარტო ბელგრადის „ბორბადან“, არამედ რომის „მასაჯეროდან“, ლონდონის „დეილი ექსპრესიდან“ და სტოკჰოლმის „ტიდნინგენიდან“.

რადიოსადგური „ევროპა-1“, ყველაზე გავლენიანი რადიოსადგური ევროპის კონტინენტზე, რეგულარულად აშუქებს ვაშინგტონსა და დალასში მომხდარ ამბებს, გულახდილად გამოთქვამს საკუთარ დაეჭვებასა და თავისი რეპორტიორების დაეჭვებას. სანამ ამერიკა ყველა ფაქტის აშკარა გაშუქებით თავს არ დააღწევს ეჭვს, დაეჭვება გაღრმავდება, ხოლო ეჭვი სულ უფრო მძიმე გახდება“.

კენედის მოკვლა იყო მშვიდობის საქმის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე რეაქციულმა წრეებმა შეიმუშავეს და მოამზადეს.

(გაზეთებიდან).

ნაცისტები პიკეტობენ თეთრ სახლს

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკდესი) მიხაკისფერი პერანგებით გამოწყობილ ამერიკელ ნაცისტთა ჯგუფი, რომლებსაც სამკლაურებზე გამოსახული ჰქონდათ სვასტიკა, პიკეტობდა გუშინ თეთრ სახლს, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო. ნაცისტებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მეთაური ერლ უორენი დაინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონსონის მითითებით შექმნილი კომისიის თავმჯდომარედ, რომელმაც უნდა გამოიძიოს განსვენებული პრეზიდენტის კენედის მკვლელობისა და ლი ოსვალდის „თვითნებური“ მოკვლის გარემოებანი.



„რიკოშეტით“ — ასე უწოდა მხატვარმა კამინგსმა თავის ნახატს, რომელიც გამოქვეყნებულია ინგლისურ გაზეთ „სანდი ექსპრესში“.

სხვადასხვა მერიდიანზე

☐ 400-ზე მეტი კაცი დაიღუპა ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში საავტომობილო კატასტროფების შედეგად.

☐ **ინგლისის** შრომის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, უბედური შემთხვევების რიცხვმა სამშენებლო მრეწველობაში შარშან შეადგინა 3.136. 1960 წელს იყო 2.583.

☐ **ცხოვრების** ცუდი პირობებისა და იმის გამო, რომ სამედიცინო დახმარება არა აქვთ, პერუს ქალაქებში წლითიწლობით იზრდება ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი. კალიაოში — პერუს მთავარ სანავსადგურო ქალაქში — გამოკვლეულ მცხოვრებთა 75 პროცენტი ავად არის ტუბერკულოზით. ყოველწლიურად კალიაოში ამ ავადმყოფობით ასობით ადამიანი კვდება. (საკდესი).

არჩევნები ვენესუელაში

კარაკასი, 30 ნოემბერი. (საკდესი). 1 დეკემბერს ვენესუელაში ეწყობა საყოველთაო არჩევნები. უნდა აირჩიონ რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული კონგრესის სენატორები და დეპუტატები, მუნიციპალური საბჭოების წევრები, 20 შტატის საკანონმდებლო ასამბლეათა დეპუტატები, სულ 10 ათასზე მეტი დეპუტატი. პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის 7 კანდიდატი.

ვენესუელაში არჩევნებისათვის სამზადისი მიმდინარეობდა პროგრესული ძალების წინააღმდეგ უმკაცრესი ტერორისა და რეპრესიების პირობებში. კომუნისტური პარტია და „მემარცხენეთა რევოლუციური მოძრაობის“ პარტია იძულებული არიან არალეგალურად იმუშაონ. ამ პარტიათა სენატორები და დეპუტატები წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში საპატიმროებში ჩასვეს. საპატიმროთა ჯურღმულებში იტანჯება 5 ათასზე მეტი კაცი.

ბეტანკურის მთავრობა, რომელიც ცდილობს გაამართლოს ვენესუელაში გაჩაღებული ტერორი, ამ არჩევნების წინ მოაწყო ახალი ბინძური პროვოკაცია. მან შეთხზა ნაყალბევი, რომელშიც ცილს სწამებს რევოლუციურ კუბას, ვითომ იგი „ძირგამომთხრელ საქმიანობას“ აწარმოებდეს ვენესუელაში, მაგრამ ვერც პროვოკაციები, ვერც რეპრესიები ვერ გატეხენ ვენესუელელ ხალხს.

ვენესუელაში გაჩაღდა პატრიოტთა ბრძოლა, რომლებიც გაერთიანებული არიან „ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებულ ძალებში“.

ვენესუელის ხალხი გადაჭრით მოითხოვს პოლიციური რეპრესიების შეწყვეტას. იგი მოითხოვს ნამდვილ თავისუფალ არჩევნებს, ნამდვილი დემოკრატიული მთავრობის შექმნას და თავისი სამშობლოს იმპერიალისტურ მონოპოლიათა ჩაგვრისაგან განთავისუფლებას.

რედაქტორთა შეხვედრა

ბანგკოკი, 30 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის საკითხთა ეკონომიური კომისიის წევრი აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების გაზეთების რედაქტორთა კონფერენციამ.

კონფერენციის დასკვნით სხდომაზე გამოსულმა გაზეთ „იზვესტიის“ მთავარმა რედაქტორმა ა. ი. აჯუბეიმ ილაპარაკა ჟურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრის გადაწყვეტილებებზე. მან ხაზი გაუსვა აზრს, რომელიც მკაფიოდ გამოხატა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ჟურნალისტთა მოსკოვის შეხვედრის მონაწილეებთან საუბარში იმის შესახებ, რომ, თუმცა სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ჟურნალისტებს შორის არ შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა იდეოლოგიაში, მაგრამ არის ბევრი პრობლემა, რომლებზეც მთელი მსოფლიოს ქვეყნების ჟურნალისტებს შეიძლება ჰქონდეთ ერთიანი თვალსაზრისი, მათ შორის ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლა.

კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა საბჭოთა კავშირის დიდი როლი, როგორც იმ ქვეყნისა, რომელიც ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარების მკაფიო მაგალითია. მათ აღნიშნეს, რომ საბჭოთა აზიის ხალხების მიერ მოპოვებულ უდიდეს წარმატებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხებისათვის.

კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლი

ნ. ვოზნესენსკის დაბადების 60 წლისთავისათვის

როცა ძველ კომუნისტს, რომელიც ვოზნესენსკის იცნობდა ახალგაზრდობიდან მისი სიცოცხლის დასასრულამდე, ვკითხეთ, თუ რა მთავარი თვისებები ახასიათებდა ნიკოლოზ ალექსის-ძეს, მან გვიპასუხა: დიდი ნიჭი, პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება, უმწიკვლო პატიოსნება, უსაზღვრო შრომისმოყვარეობა.

ეს ნიკოლოზ ალექსის-ძის ზუსტი დახასიათებაა.

ვოზნესენსკიმ ცხოვრების იოლი გზა როდი განვლო. ცამეტი წლისას მამა მოუკვდა და მუშაობა დაიწყო სადურგლო სახელოსნოში, შემდეგ ტულის გუბერნიის ქალაქ ჩერნის სტამბის ასოთამწყობი გახდა.

ოქტომბრის რევოლუციის დაწყებისთანავე, რომელმაც მთელი რუსეთი აამოძრავა, მოზარდ ნიკოლოზს ინტერესი აღეძრა საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. ვოინიჩის წიგნის „კრაზანას“ და ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ“ კითხვიდან იგი რსდმპ (ბ) პროგრამისა და „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შესწავლაზე გადადის.

1919 წლის დეკემბერში ვოზნესენსკი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და მისდამი უანგარო სამსახურს ახმარს თავის ხანმოკლე, მაგრამ მკაფიო სიცოცხლეს.

ჩერნის კომკავშირის ორგანიზაციის მთელი ისტორია ნიკოლოზ ვოზნესენსკის სახელთან არის დაკავშირებული: ფრონტზე გასაგზავნად ახალგაზრდობის მობილიზაცია 1919 და 1920 წლებში, ახალგაზრდობის ჩაბმა დამშეული მოსკოვისათვის სურსათის შეგროვების კამპანიაში, ახალგაზრდული სანიტარულ-ეპიდემიური რაზმების შექმნა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია — ყველგან თავის მეგობარ კომკავშირელებთან ერთად, როგორც რიგითი და როგორც კომკავშირული წინამძღოლი, მუშაობს ნიკოლოზ ვოზნესენსკი.

1924 წელი. ვოზნესენსკის გზავნიან პარტიულ სამუშაოზე დონბასში.

1928 წელს იგი სასწავლად მიავლინეს წითელი პროფესურის ინსტიტუტში. ვოზნესენსკი შეუდგა თავისი საყვარელი მეცნიერების — პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას და კვლავ პარტიის მებრძოლად დარჩა. იგი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზატორია, პარტიის სოკოლნიკის რაიკომის პროპაგანდისტული ჯგუფის ხელმძღვანელია. 1931 და 1932 წლებში აქვეყნებს მეცნიერულ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკის საკითხისათვის“.

1934 წლის თებერვალში პარტიის XVII ყრილობაზე ნ. ა. ვოზნესენსკი არჩეულ იქნა საბჭოთა კონტროლის კომისიის წევრად. ამ წელს გამოდის მისი ახალი მეცნიერული ნაშრომები: „მარქსი და ენგელსი შრომის სოციალისტური ორგანიზაციის შესახებ“, „პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალიზმის ეკონომიკა“, „პირველ ხუთწლედში სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების შესახებ“.

1935 წელს ვოზნესენსკის მიენიჭა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იმავე წელს იგი დანიშნულ იქნა ლენინგრადის საქალაქო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ და ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

ვოზნესენსკის მოღვაწეობის ყველაზე პასუხსაგები და ნაყოფიერი პერიოდი იწყება 1937 წლის დეკემბრიდან, როცა იგი დანიშნულ იქნა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ. თერთმეტი წლის განმავლობაში ვოზნესენსკი სათავეში ედგა საკავშირო საგეგმო ორგანოს, „პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიურ შტაბს“, როგორც იგი უწოდებდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობაზე ნ. ვოზნესენსკი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო შემდეგ დაინიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ეკონომიური საბჭოს ხაზით.

1941 წლის თებერვალში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ნ. ა. ვოზნესენსკი აირჩია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

...ომი. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ხდება ის შტაბი, რომელსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებს სამხედრო რელსებზე გადაიყვანოს ქვეყნის ეკონომიკა. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ა. ვოზნესენსკის ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა საბჭოთა არმიის უზრუნველყოფისათვის საჭურველითა და საომარი მასალებით. ვოზნესენსკი სახალხო კომისართა საბჭოს აპარატში ქმნის სპეციალურ ოპერატიულ ჯგუფს იმ საწარმოთა მუშაობისადმი ყოველდღიური მეთვალყურეობისათვის, რომლებიც საჭურველსა და საომარ მასალებს უშვებენ. იგი ხშირად მიდის ქარხნებში, ადევს სამხედრო ტექნიკის გამოშვების ყოველდღიური გრაფიკის შესრულებას.

ვოლგაზე ჰიტლერელთა ჯარების განადგურების შემდეგ ვოზნესენსკი სამხრეთში გზავნის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა დიდ ჯგუფს იმისათვის, რომ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ ჩვენი ქვეყნის სამხრეთში სახალხო მეურნეობის აღდგენის გეგმა.

მაღალი შეფასება მისცა რა ვოზნესენსკის დამსახურებას საბჭოთა ეკონომიკის თეორიის დამუშავების დარგში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ 1943 წლის 27 სექტემბერს ერთხმად აირჩია იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ომისშემდგომ წლებში დღის წესრიგში დგება სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენის ამოცანა. 1947 წლის მეორე ნახევარში ვოზნესენსკი, იმ დროს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ამ საკითხს აყენებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. და პარტიის ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ავალებს შეიმუშაოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გენერალური გეგმა, გაანგარიშებული დაახლოებით 20 წლისათვის. გეგმის შედგენაში ჩაბმული იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული ძალები, სამინისტროები, უწყებები და რესპუბლიკური საგეგმო კომისიები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ნ. ა. ვოზნესენსკი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ეჭირა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი და იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეტალურგიისა და ქიმიის ბიუროს თავმჯდომარე, ხოლო ამავე დროს მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. იგი წერს წიგნს სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის შესახებ, რაც 1947 წლის დამლევს დაამთავრა. წიგნმა საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება მიიღო და პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1949 წლის დამდეგს ნ. ა. ვოზნესენსკი უეცრად ჩამოაშორეს ყველა პარტიულ და სახელმწიფოებრივ საქმეს: იგი გამოყვანილ იქნა პოლიტბიუროს შემადგენლობიდან, ხოლო შემდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან. მას მუშაობის შესაძლებლობაც კი მოუსპეს. ვოზნესენსკი უგზავნის სტალინს ერთ ბარათს, მეორეს, მესამეს... მაგრამ პასუხი არ არის. „ეს რაღაც გაუგებრობაა, — ამბობს იგი თავისი ოჯახის წრეში. — სანამ სტალინი გაერკვეოდეს, დრო არ უნდა დავკარგო“. და ვოზნესენსკი განაგრძობს მუშაობას წიგნზე „კომუნიზმის პოლიტიკური ეკონომია“, რომლის წერაც 1948 წელს დაიწყო. შვიდ თვეს, თითქმის გარეთგამოუსვლელად, შრომობდა ნიკოლოზ ალექსის-ძე ამ წიგნზე. მაგრამ მისი ეს შრომა დაუმთავრებელი დარჩა. 1950 წელს ნ. ა. ვოზნესენსკი დაიღუპა, მსხვერპლი გახდა იმ თვითნებობისა, რომელიც გაბატონებული იყო სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის ცოცხალია ხსოვნა მათი სახელოვანი შვილისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეს მოახმარა.

ვ. კოლოტოვი.

უშანგი ჩხეიძის დაბადების 65 წლისთავის გამო

დიდი ხელოვანი

მოგონების ერთი ფურცელი

სიტყვები, ეპითეტები, ძახილის და ყველა სხვა ნიშნები უძლურნი არიან მსახიობის შემოქმედების გადმოცემაში. მსახიობი თვალით უნდა ნახო, თვითონ უნდა განიცადო მისი სცენიური სიცოცხლის შემოქმედების ძალა, უნდა შეიგრძნო იგი. მხოლოდ ასეა შესაძლებელი მსახიობის შემოქმედების გაგება.

იყვნენ საუკუნის მსახიობები. უშანგი ჩხეიძე მათ რიცხვს ეკუთვნის. მსახიობის შემოქმედებაზე არსებულ უზარმაზარ ლიტერატურაში ყველაზე საუკეთესოდ ბელინსკის დაუწერია მოჩალოვზე, მაგრამ მაინც, როცა მის სტრიქონებს ვკითხულობთ, ბელინსკი უფრო მაღლდება, ვიდრე მოჩალოვის ჰამლეტი.

თავის ცნობილ წიგნში „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში" მსახიობის ტექნიკისა და ოსტატობის ჭეშმარიტი შემოქმედების შესახებ სტანისლავსკის ნათქვამი აქვს: „...ერთი რამ მაკლია ამგვარ თამაშში — გამაოგნებელი, თავბრუდამხვევი, შთაგონებული მოულოდნელობა! მოულოდნელობა, რომელიც უცებ ფეხქვეშ მიწას გამოგაცლის და სხვა მიწაზე დაგაყენებს. იმ მიწაზე მაყურებელი არასოდეს არ მდგარა, მაგრამ გუმანით იცნობს, წინათგრძნობით, მიხვედრით. ახლა კი ამ მოულოდნელობას თავისი თვალით ხედავს, პირველად ხვდება მას პირისპირ. ეს გიპყრობს, გიმონებს და გატყვევებს მთელი არსებით. მსჯელობა და კრიტიკა შეუძლებელია — ის, რაც ნახე, უტყუარია, ვინაიდან მოულოდნელად დაიბადა ორგანული ბუნების წიაღიდან.

მსახიობი თვითონ არის გაოგნებული და შეპყრობილი ამ მოულოდნელობით, რაღაც ძალას ემორჩილება და მისდევს, თვითონაც არ იცის საით...

ასეთი თამაში მშვენიერია, ასეთი თამაში ძლიერია, მაგრამ არა იმ ლოგიკით და თანმიმდევრობით, რომლითაც ტკბი ხანდახან. ის მშვენიერია თავისი მამაცური ულოგიკობით, რიტმული არითმიულობით, ფსიქოლოგიურია, ჩვეულებრივი, მიღებული ფსიქოლოგიის უარყოფით... ის ყველა დადგენილ წესს არღვევს და სწორედ ეს არის კარგი, სწორედ ამაშია მისი ძალა. ასეთი მხატვრული ქმნილების შესახებ ვერ იტყვი, რომ ის კარგია, ვერ იტყვი „რატომ არის ეს ასე, და არა ისე". ეს ასეა იმიტომ, რომ არის იგი, და სხვა არ შეიძლება იყოს. ვინ აკრიტიკებს ელვას და ქუხილს, ქარიშხალს, შტორმს, გარიჟრაჟს ან მზის ჩასვლას"?

მე ვერ შევძლებ უკეთ ავხსნა უშანგი ჩხეიძის მსახიობრივი ბუნება, ვიდრე ეს სტანისლავსკის სტრიქონებშია გადმოცემული.

და, ვისაც უნახავს უშანგი, არასოდეს არ დაივიწყებს შეუპოვარ შემოქმედს, რომლის ხელოვნება უმაღლეს მწვერვალებს აღწევდა.

მინდა გავიხსენო მისი უკანასკნელი გამოჩენა სცენაზე. კოტე მარჯანიშვილს ქართული საზოგადოებრიობა იუბილეს უხდიდა, კოტემ დაითანხმა უშანგი ამ საღამოს „ურიელ აკოსტაში" მიეღო მონაწილეობა. უშანგიმ ვერ უთხრა უარი მარჯანიშვილს, თუმცა უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, სცენის შიში დასჩემდა, დარწმუნებული იყო, რომ მისი გული ვეღარ გაუძლებდა მოზღვავებულ გრძნობებს, ხოლო სხვანაირად ხომ უშანგის არ შეეძლო თამაში.

დაიწყო საიუბილეო საღამო, უშანგი არა ჩანს. უკვე „ურიელ აკოსტას" მეოთხე მოქმედების დეკორაციას დგამენ (მხოლოდ ერთი აქტი უნდა გვეთამაშა). უშანგისთან გაგზავნილი ამხანაგი დაბრუნდა. — „არ შემიძლია, ვერ მოვალ" — შემოთვალა უშანგიმ. მარჯანიშვილი, აღელვებული, ბოლთასა სცემს. ანტრაქტი გრძელდება. მე უკვე გამზადებული ვარ ივდითისათვის. მარჯანიშვილმა მთხოვა — „წადი, შეეხვეწე, იქნებ ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნა არის". გადავწყვიტე რაღაც უნდა დამჯდომოდა, მომეყვანა. შევედი მასთან ივდითის კაბაში გამოწყობილი. უშანგი ლოგინმიხდილი იწვა, მას თავს დასტრიალებდა ექიმი ქალი, რომელიც თითქმის არ შორდებოდა. დავუჩოქე, მოვეხვიე, დავუკოცნე ხელები. „რომ მოკვდე კიდეც სცენაზე, უნდა წამოხვიდე, არ შეიძლება მარჯანიშვილს ასე სასტიკად მოექცე, მას, ვინც შენ გასწავლა სცენაზე გოლიათური ნაბიჯებით სვლა, ვისაც სწამდი შენ ბოლომდე, ვინც ამდენი ბედნიერი წუთები მოგანიჭა".

„მიეცით პირველი ზარი, უშანგი მოდის!" — ვაცნობე თეატრს.

გაიხსნა ფარდა. უშანგი და მე ვდგავართ ზევით გამოსასვლელზე. გათავდა პირველი სცენა, ჩამოვიდნენ მოციქულები, დაუკრეს საყვირებმა, საყვირებს მოსდევს ურიელი, მაგრამ უშანგი დგას, არ იძვრის. მე ისევ ვეხვევი, ვემუდარები, ვტირი, ვარწმუნებ, რომ არ მოვშორდები. საყვირებმა კვლავ გაიმეორეს ურიელის გამოსვლა. უშანგიმ გადადგა ნაბიჯი, იგი გამოჩნდა სცენაზე. თითქოს გრიგალმა გადაიარაო, ისეთი ტაში ატყდა. ხალხი დიდხანს არ ცხრებოდა. საყვარელი მსახიობის გამოჩენამ ალაფრთოვანა დარბაზი. „მოდის, მოდის!".

უშანგის ხმა უკანკალებდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სცენა გრძელდება. ყველა, ვინც სცენაზე ვიყავით, თვალს არ ვაშორებდით უშანგის, ყველას სურვილი ერთი იყო — ნეტა გაუძლოს, იქნებ დღეს მოხდება სასწაული და უშანგი დაუბრუნდება სცენას. მაგრამ მოახლოვდა წამი, როცა ივდითი სტოვებს ურიელს, ისიც გადაუდგა, ურიელი მარტო რჩება. უშანგის ხელი ისე მაგრად ჩასჭიდებია ჩემს ხელს, რომ ვერაფრით ვერ გავითავისუფლე. ორკესტრი კვლავ იმეორებს ივდითის გადასვლის მუსიკას. დაძაბულობა მატულობს, და ჩვენ, მსახიობებს, შეგვიერთდა მთელი დარბაზი. ახლა მთელ თეატრს ერთი აზრი, ერთი სურვილი აქვს. უშანგიმ იგრძნო ეს მუდარა, ხელი გამიშვა, შორს არ წავედი, იქვე ახლოს შევჩერდი. უშანგიმ დაიწყო მონოლოგი. სულგანაბული უსმენს დარბაზი, უეცრად მან შეწყვიტა მონოლოგი, სიჩუმე გრძელდება. მხოლოდ უშანგის თვალები მეტყველებენ, მათში აუწერელი ტანჯვა ისახება. უცებ მომესმა ყრუ ხმაური დარბაზიდან. მოვიხედე, მთელი ხალხი ფეხზე იდგა. „შეხედე, უშანგი, ხალხი გელის!"

ოხვრა ამოხდა უშანგის გულიდან, მან გააგრძელა თამაში. ვერ აღვწერ, როგორ დავამთავრეთ „ურიელ აკოსტას" ეს დაუვიწყარი მოქმედება. სულ ტაში, სცენაზე ცრემლები. უშანგის ყოველი სიტყვა და მოძრაობა — ეს იყო სამუდამოდ გამოთხოვება თეატრთან.

რა სავალალოა, რომ მოკლე იყო ამ შესანიშნავი შემოქმედის სცენიური სიცოცხლე. მაგრამ ვიცი, როცა თეატრის მოღვაწენი შეგროვდებიან, რათა აკეთონ დიდი ხელოვნების საქმე, იქ უშანგი ჩხეიძის სახელი მუდამ მოიხსენიება, და მისი სახელის გახსენებაზე გულს სითბო მოემატება, უფრო ძლიერი გახდება მაღალი შემოქმედების სურვილი.

ვერიკო ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

სურათებზე: ზემოთ — უ. ჩხეიძე, ქვემოთ — სცენა სპექტაკლ „ურიელ აკოსტადან"; ივდითი — ვ. ანჯაფარიძე, ურიელ — უ. ჩხეიძე.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჭიათურის მარკით

ჭიათურა. (საქ. კორ.). ქართული მარგანეცის სახელი ძველთაგანვე შორს არის განთქმული. დიდძალი მარგანეცი იგზავნება არა მარტო ზაპოროჟიეს, კრივოიროგის, ჟდანოვის, ტულის, კრამატორსკის, კონსტანტინოვკის, ჩელიაბინსკის, ლიპეცკის, ენაკიევოს, მაკეევკის და სხვ. მეტალურგიულ ქარხნებში, იგი მიდის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მაგრამ ეს ცოტაა. ჭიათურის მარგანეცი მიდის იაპონიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ნორვეგიაში, შვეციაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვ.

— ჭიათურელ მაღაროელთა და გამამდიდრებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, — განაცხადა მარგანეცის ხარისხების სახელმწიფო ინსპექციის უფროსმა გ. კერესელიძემ, — რომ არც ერთი მომხმარებლისაგან უკვე ორი წელია არ მიგვიღია რაიმე პრეტენზია, რეკლამაცია. ჭიათურის მარგანეცის ხარისხი მოსწონთ საბჭოთა მეტალურგებს, უცხოეთის ფირმებს.

კონცერტები საამქროებში

რუსთავის მუსიკალურ სასწავლებელთან ჩამოყალიბებულია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საკონცერტო ბრიგადა.

ამას წინათ საკონცერტო ბრიგადამ მოაწყო კონცერტი-ლექცია, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ა. მაჭავარიანის დაბადების 50 წლისთავს. კომპოზიტორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ლექცია წაიკითხა მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტმა ბ. ვოლდეიტმა. ლექციის მსვლელობის დროს სრულდებოდა ბალეტ „ოტელოს" მუსიკალური ფრაგმენტები.

კარგ ტრადიციად გადაიქცა კონცერტების გამართვა საამქროებში, მუშათა კოლექტივების წინაშე. მაგალითად, ამ დღეებში საკონცერტო ბრიგადა ეწვია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროს. მუშებმა ინტერესით მოისმინეს პირველკურსელი სტუდენტების მიერ შესრულებული ცალკეული ნაწარმოებები.

ორი კონცერტი გაიმართა მე-15 და მე-16 საშუალო სკოლებში.

ამჟამად საკონცერტო ბრიგადა ახალ პროგრამას ამზადებს საწარმოებში კონცერტების გასამართავად.

ა. კაპნერი,
რუსთავის მუსიკალური სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

მოსწავლემ პიანინო მოიგო

ოჩამჩირის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ქალაქის [illegible] საშუალო სკოლის მოსწავლემ მამია იპოლიტეს-ძე მიქაიამ წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1963 წლის (მერვე გამოშვების) ლატარიის მოგებათა ტირაჟის 21817 სერიის № 200 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა პიანინო.

მ. ჟოჟუა.

ახალი ქარხანა

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტმა ხაშურში ააგო უალკოჰოლო სასმელების ახალი ქარხანა. ძირითადი სამუშაო პროცესები ქარხანაში მექანიზებულია. მისი წარმადობაა წელიწადში 50 ათასი დეკალიტრი. ამჟამად მთავრდება დანადგარების მოწყობა. მალე ქარხანა მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგება.

დ. ფარემუზოვი.

წიგნის თარო

დოდო ანთაძე — დღეები ახლო წარსულისა. მოგონებები. წიგნი I. რედაქტორი დ. ჯანელიძე, მხატვარი ვ. წერეთელი. გამომცემლობა „ხელოვნება". გვ. 378, ფასი 2 მან.

გრიგოლ თოდუა — ცოდნისკარი არაგვის ხეობაში. მონოგრაფია წინამძღვრიანთკარის პირველ ქართულ სასოფლო-სამეურნეო სკოლაზე და მის მოღვაწეებზე. რედაქტორი პროფესორი ი. სარიშვილი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 106, ფასი 40 კაპ.

წყალსადენი სოფელში

მაღალმთიანი სოფლის ვანისჭალის მცხოვრებნი სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიდნენ. ეს გაითვალისწინეს წყალტუბოს რაიონის მექვენის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა. მათი ინიციატივით ერთი კილომეტრი მანძილიდან წყალსადენით გამოყვანილია სოფელში ანკარა წყაროს წყალი.

ც. კვატაშიძე.

ქუთაისელი მოცეკვავეები პოლონეთში

ქუთაისი. (საქ. კორ.). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობიდან დაბრუნდა ქუთაისის ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის საქალაქო სახლთან არსებული ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი (ხელმძღვანელი ჯ. გერგაია).

ქუთაისელმა მოცეკვავეებმა პოლონეთის ქალაქებში რამდენიმე კონცერტი გამართეს და ყველგან მაყურებლის მხურვალე მოწონება დაიმსახურეს.

სასამართლოს დარბაზიდან

მკვლელს—სიკვდილი

— ო, ჭ ი რ ს ა და ლხინში ჩემს საყვარელ ძმას ანდროს სალამი და გამარჯვება, — ღიმილით მიევება დამხდურს — სოფელ ამაღლების მაღაზიის გამგე-გამყიდველ ანდრო ბრეგვაძეს მეზობელი დურმიშხან ბოჭორიშვილი.

— გავიგე, მარტოდ გინდა გაათენო ეს კუპრივით ღამე მაღაზიაში. მოვედი, მარტო სუფრაში მეგობრობა არა მწამს, ვისაუბროთ...

მცირე პაუზის შემდეგ დ. ბოჭორიშვილმა მგლის თვალებით შეხედა მეგობარს. ბნელ ჩანაფიქრს გზა სწრაფად გაუხსნა, თვალის დახამხამებაში გაიძრო სახლში პირალესილი გრძელტარიანი დანა და გულის არეში ჩარტყმით მოკლა ა. ბრეგვაძე.

გარეწარმა გატეხა სალარო, ჩაიჯიბა 2.700 მანეთი და გარეთ გამოვარდა.

— ვითომ გამიგებენ? ვერა, ვერასდროს, ყველა კვალს მოვსპობ, გავანადგურებ, — თქვა ბოროტმოქმედმა და მაღაზიას ცეცხლი წაუკიდა. ქარიან ღამეში ხანძარმა სწრაფად გაშალა ფრთა, დაიფერფლა მაღაზიაც, მოკლულის გვამიც და გვერდით აფთიაქის შენობაც.

ცეცხლით გამოწვეულმა ზარალმა 56.787 მანეთს მიაღწია.

დურმიშხან ამბროსის-ძე ბოჭორიშვილი სოფლიდან გაიქცა, მიმალვა, დანაშაულის კვალის დაფარვა სცადა, მაგრამ ბოროტმოქმედის გზა მოკლე აღმოჩნდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. ვ. გრძელიძის თავმჯდომარეობით მკვლელ დ. ა. ბოჭორიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა — დ ა ხ ვ რ ე ტ ა მიუსაჯა.

ამ განაჩენს სასამართლოს პროცესზე დამსწრე მაიაკოვსკელი მშრომელები კმაყოფილებით შეხვდნენ.

განაჩენი დ. ა. ბოჭორიშვილის მიმართ სისრულეშია მოყვანილი.

საუნჯეთა გაცოცხლება

ასწლოვან მომღერალთა ანსამბლი

Დიდი ხანია ეს აღარ არის სენსაცია. 1947 წელს სოხუმის ხალხური შემოქმედების სახლმა შეკრებაზე მიიწვია მთქმელები, მუსიკოს-შემსრულებლები და მომღერლები, რომლებიც ას წელს იყვნენ გადაცილებულნი. ადგილობრივმა გაზეთმა მათ მოხუცები უწოდა. მაგრამ მომღერლებმა დაამტკიცეს, რომ მათი მეხსიერება, ენერგია და შემოქმედებითი შესაძლებლობები დროს არ ემორჩილება.

ტანადი, თმაშევერცხლილი ადამიანები საოცრად შეხმატკბილებულად ასრულებდნენ ხალხურ სიმღერებს, ვირტუოზულად უკრავდნენ ხალხურ საკრავებს, ჰყვებოდნენ ძველ ლეგენდებს, ცეკვავდნენ. დიახ, ცეკვავდნენ და იშვიათი, უნიკალური იყო ნომერი: ასი წლის სოლისტი მარჯვედ ცეკვავდა ტემპერამენტიან „ქართულს".

დროს თითქოს მართლაც არ ემორჩილებიან ისინი. 1953 წელს საქართველოს საკონცერტო ესტრადებზე დაიწყო გამოსვლა კოლექტივმა, რომელსაც ხალხურ მომღერალთა და მთქმელთა ანსამბლი ეწოდა. მისი სოლისტების ასაკმა ერთად ოცი საუკუნე შეადგინა. ამას წინათ ამ ანსამბლმა თავისი მეათე წლისთავის იუბილე იდღესასწაულა. ყველაზე უფროსი — რომ არა ვთქვათ „მოხუცი" — სოლისტი მაჩკუკ ადლეიბა 118 წლისაა, ყველაზე უმცროსი — სამოცდაათი წლისა. ანსამბლის წამყვან მოცეკვავეს თარაშ ჯონუას რამდენიმე თვის შემდეგ შეუსრულდება ასი წელი. მისი კოლეგა შაადათ მარხოლია „მხოლოდ" ოთხმოცდათორმეტი წლისაა. ანსამბლი განუწყვეტლივ ივსება ახალგაზრდობით. ამ შემთხვევაში ბრჭყალები უადგილოა. მაჩკუკ ადლეიბას და მისი მეგობრის, ასი წლის ალექსი ცვიჟბას გვერდით ანსამბლის სამოცდაათი წლის სოლისტები ახალგაზრდებად გამოიყურებიან...

მოსალოდნელია კითხვები რეპერტუარის შესახებ, იმ ნაწარმოებთა ხასიათის შესახებ, რომლებსაც ანსამბლი ასრულებს, მუსიკალური საკრავების შესახებ, ბევრი სხვა რამის შესახებ. სანამ ამ კითხვებზე ვუპასუხებდეთ, მოდით მოვახდინოთ მცირე გეოგრაფიული ექსკურსი ასი წლის მომღერალთა ქვეყანაში.

მისი სახელია აფხაზეთი. ბუნებას უხვად დაუჯილდოებია ეს მხარე, არ დაუშურებია მისთვის არც მზე, არც ხასხასა სუბტროპიკული მცენარეულობა, არც ალპური საძოვრები. ნამდვილი სამოთხეა! და არავინ არ ჩქარობს ვადაზე ადრე დატოვოს იგი. ამან უკვე დიდი ხანია დააინტერესა გერონტოლოგები: სამას ათას აფხაზზე მოდის ორი ათასზე მეტი ას წელს მიღწეული და გადაცილებული მცხოვრები. და ისინი რომ ახალგაზრდებივით მღერიან და ცეკვავენ, სრულებითაც არ არის გასაკვირველი. მართალია, მედიკოსები კვლავ გამოთქვამენ გაკვირვებას, მაგრამ, როგორც თვით ასწლოვანები ამბობენ, ეს მათი უფლებაა.

— ერთი მოესმინათ როგორ მღეროდა ანტონ ფილია. ჩვენი სოფლის ჯარაექიმი და მეწისქვილე, არ დაიჯერებდნენ, რომ ას ოცდასამი წლისა იყო...

სულ ერთი წელიწადი დააკლდა ანტონს, ანსამბლის მეათე წლისთავს რომ მოსწრებოდა.

მინორული ნოტაა, ხომ? მაგრამ აფხაზ მომღერალთა პატრიარქი სიცოცხლიდან რომ წავიდა, ანსამბლი როდი დაშლილა. ახლა იგი ოცდაათზე მეტ კაცს აერთიანებს. მისი ცხრა სოლისტი ას-ას წელიწადზე მეტისაა. ყველანი შრომობენ, არა სურთ დაისვენონ. მუშაობენ კოლმეურნეობებში მრჩევლებად, საკარმიდამო ნაკვეთებზე გულუხვ მიწას ამუშავებენ, რჩევა-დარიგებას აძლევენ უამრავ შვილიშვილებსა და შვილთა შვილიშვილებს. დანიშნულ ჟამს კი ერთად იკრიბებიან და მოკლე რეპეტიციის შემდეგ ესტრადაზე გამოდიან.

ანსამბლი მუდამ ბრწყინვალე წარმატებით სარგებლობს მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებასა და ოლიმპიადებზე. ჟიურის წევრები და მსმენელები მას პრიზებითა და ტაშით აჯილდოებენ. და სრულებითაც არა იმიტომ, რომ ეს ანსამბლი თავისთავად უნიკალური მოვლენაა. სამოც სიმღერას ასრულებენ ასწლოვანები, და ყველა მელოდია შობილია ხალხის შემოქმედებით, მისი თვითმყოფი კულტურით, ნიჭით. ისინი თაობიდან თაობას გადმოეცემა, საუკუნიდან საუკუნეში გადმოდის, და ანსამბლი ამ მელოდიებს პირველქმნილი სილამაზით გადმოგვცემს (აქვე უნდა ითქვას, ბევრი სიმღერა გადატანილია გრამფირფიტებზე). ასწლოვანთა რეპერტუარშია თორმეტი აფხაზური ცეკვა. მოცეკვავეთა ასაკის გამო რაიმე შეღავათის გაუთვალისწინებლად უნდა ვთქვათ: ბრწყინვალედ ცეკვავენ!

ანსამბლის კონცერტი საათნახევარზე მეტს გრძელდება. მთელი პროგრამის ორ მესამედს თვით ანსამბლის მონაწილეთა მიერ შეთხზული სიმღერები შეადგენს. თვითონვე წერენ მუსიკას. თვითონვე უკრავენ ეროვნულ საკრავებს: ორსიმიან აფხიარცას, ხემიან აიუმას, 14-სიმიან აჰმაას, რომელიც არფას მოგვაგონებს, აჩონგურს და სხვ. მღერიან ხალხურ, ძველ და თანამედროვე, ეპიკურ და სახუმარო სიმღერებს. ეს რეპერტუარი შემეცნების ამოუწურავი წყაროა ფოლკლორისტებისათვის, ეთნოგრაფების, ლინგვისტების, ლიტერატურათმცოდნეების, ისტორიკოსებისათვის. მოსკოვში გამოცემული კრებული „აფხაზური ხალხური სიმღერები" შეიცავს 168 საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, საკულტო, ისტორიულ, რევოლუციურ შრომის სიმღერას, და მეტი წილი ეს სიმღერები ანსამბლის სოლისტებისაგან ჩაიწერეს.

— მათ გვერდით ახალგაზრდა ვხდები, — ამბობს ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ივანე ქორთუა (დაბადების წელი 1910). ეს ნახევრადსახუმარო აღიარება მან ინტერვიუს დროს გააკეთა. საერთოდ კი საუბარში ბევრი რამ შევიტყვე საინტერესო.

— სიმღერები ფართოდ არის გავრცელებული ხალხის ყოფაში, ყველგან თან სდევს აფხაზს. სიმღერა გაისმის ტრადიციულ საოჯახო დღეობებზე და საზოგადოებრივ დღესასწაულებზე. აფხაზი მუდამ სიმღერით მიდიოდა სამუშაოდ და მტრებთან საბრძოლველად. წარსულში ბევრი სიმღერა მხოლოდ სასტიკად განსაზღვრულ შემთხვევებში სრულდებოდა. დიდი ადგილი უჭირავს შრომის სიმღერებს, იმ ამბებისა და გმირებისადმი მიძღვნილ ისტორიულ სიმღერებს, რომლებიც ხალხის ხსოვნაში ცოცხლობენ.

— აფხაზური ხალხური სიმღერები უნოტებოდ იქმნებოდა. მხოლოდ შედარებით ცოტა ხნის წინათ დაიწყო მათი შესწავლა და ჩაწერა. მე, მაგალითად, ჩავიწერე ორასი სიმღერა, თქმულება, იგავი, ლეგენდა. აქაც ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევენ ასწლოვანები...

— როგორ მინდა მოვუსმინო მათ!

— ჩამობრძანდით სოხუმში. ანსამბლი მალე შეიკრიბება სავარჯიშოდ. ამ დღეს მოუთმენლად მოველი — ასწლოვანებითან მოიტანენ ახალ სიმღერებს და მათი მეხსიერებითა და ნიჭით აღდგენილ ძველ მელოდიებს.

მ. ლორთქიფანიძე.

სურათზე: ასწლოვანთა ანსამბლის წევრები.

კოსმოსური ნაწილაკების მახე

ქართველმა ფიზიკოსებმა გააუმჯობესეს სანაპერწკლო კამერა

ე ქ ვ ს ი მინისაგან შეკრულია ჭურჭელი, რომელიც ჰერმეტულად იხურება. ბადური ელექტროდები ლითონის ძაფებით ფარავენ მის კედლებს. ასეთი სახე აქვს სანაპერწკლო კამერას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში შეიმუშავა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი ჩიქოვანის ჯგუფმა.

ვილსონის კამერასთან შედარებით ეს პატარა ნაგებობა სათამაშო გეგონებათ.

— ჩვენი მარტივი და არაძვირადღირებული ხელსაწყო ზოგიერთ შემთხვევაში ისეთ სამუშაოს ასრულებს, რომელიც კვლევის სირთულით ვილსონის კამერას არ ჩამოუვარდება, — თქვა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ელეფთერ ანდრონიკაშვილმა, — და ამას დიდი სიზუსტით აკეთებს.

სანაპერწკლო კამერა შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ ელემენტარული ნაწილაკების მასა, ენერგია და სიჩქარენი. ნაწილაკი, იონიზებულ გაზს რომ გაივლის, კვალს ტოვებს. ამ მომენტში ელექტროდებს აწვდიან მაღალ ძაბვას, რომელიც ელექტრონნაპერწკალს იწვევს. ნაპერწკალი გზას უნათებს ნაწილაკს, და ის ადვილად შეიძლება აღბეჭდილ იქნას ფოტოფირზე. ვილსონის კამერაში კვალის ფოტოგადაღებისათვის მილიონი სანთლის ძალის შუქია საჭირო...

დღემდე არსებულ სანაპერწკლო კამერებში შეუძლებელი იყო ერთდროულად და ზუსტად აღგვებეჭდა კვალი და გვეჩვენებინა მისი მდებარეობა სივრცეში. კვალი ყოველთვის ფუძის პერპენდიკულარულად მიდიოდა მთლიანი ოქროსფრად მოელვარე ხაზის სახით.

სანაპერწკლო კამერის ბადური ელექტროდები ნაპერწკლის ლოკალიზაციას ახდენენ კვალის რაიონში და ამით ძლიერ აფართოებენ გამოკვლევის შესაძლებლობებს.

ერთ-ერთ დაბნელებულ ლაბორატორიაში მაჩვენეს სანაპერწკლო კამერა მუშაობისას. გენერატორის გამოზომილი ტკაცუნი დაფარა ელექტრული განმუხტვის გასროლასავით ძლიერმა ხმამ, და კამერაში, მეგზავი ტყვიის პუნქტირის მსგავსად, გაიელვა ნაწილაკის წერტილოვანმა კვალმა. იგი მაშინვე აღბეჭდა ფოტოფირმა. კიდევ გასროლის ხმა — და ფირზე დაჭერილ იქნა მეორე ნაწილაკი... მკვლევარები ახალ ცნობებს იღებენ კოსმოსურ ნაწილაკთა ქცევაზე.

ა. სიმონიანი.

პრიზების მფლობელები

ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებასთან ერთად გამოვლინდა ტრადიციული პრიზების მფლობელები.

გაზეთ „ტრუდის" პრიზი (დაწესებულია საუკეთესო ბომბარდირისათვის) მოიპოვა **ო. კოპაევმა** (როსტოვის სკა, 27 ბურთი); ჟურნალ „ოგონიოკის" პრიზი (საუკეთესო მეკარისათვის) ხვდა **ლ. იაშინს**; ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრიზის (ძირითადი და დუბლიორთა ქულების ჯამი) მფლობელი გახდა **მოსკოვის „დინამო"**; საკავშირო სპორტკავშირის პრიზი დუბლიორთათვის ხვდა **კიევის „დინამოს"**; „ფუტბოლის" პრიზი დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მოგებისათვის მოიპოვა **როსტოვის სკა-მ**; მასვე ხვდა ფედოტოვის სახელობის პრიზი ყველაზე შედეგიანი გუნდისათვის; გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" პრიზის (ნებისყოფის სიმტკიცისათვის) მფლობელი გახდა მოსკოვის „სპარტაკი".

ბაქოს საჭადრაკო ტურნირზე

გადადებულ პარტიებში მორიგი წარუმატებლობა განიცადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბიკოვამ, რომელმაც ზედიზედ ორი პარტია წააგო — კუშნირთან და ვოლპერტთან. კოზლოვსკაია და ვოლპერტი ყაიმს დასჯერდნენ.

მეთერთმეტე ტურის წინ **კუშნირს** 8,5 ქულა ჰქონდა, **სკეგინას** — 7,5 ქულა.

გუშინ მეთერთმეტე ტურში ზატულოვსკაიამ დაამარცხა როოტარე, დმიტრიევამ — ზვორიკინა, ვოლპერტმა — ბორისენკო. დანარჩენი პარტიები გადაიდო. კაკაბაძეს უკეთესი პოზიცია აქვს კოზლოვსკაიასთან. ბიკოვა-ჩაიკოვსკაიას პარტია გადადებულია რთულ პოზიციაში.

კალათბურთელებმა სტარტი აიღეს

ჩ ვ ე ნ ი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დაიწყო კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა უძლიერესი კოლექტივების საკავშირო ასპარეზობა.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" ვაჟთა, აგრეთვე საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდები.

ასეთია პირველ შეხვედრათა შედეგები: ქ ა ლ თ ა გ უ ნ დ ე ბ ი — „დინამო" (მოსკოვი) - „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 59 : 62, „სპარტაკი" (ფრუნზე) - „კიბერკშტისი" (ვილნიუსი) 54 : 53, „სპარტაკი" (მოსკ. ოლქ.) - „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 65 : 59, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) - „ტრუდი" (ლენინგრადი) 40 : 33. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ტაშკენტის „ტექსტილმაშის" გუნდების მატჩის შედეგია 46 : 49.

კაუნასი. (ტელეფონით სპეც. კორ.). აქ თბილისის „დინამოსთან" და „ბურევესტნიკთან" ერთად ბრძოლაში ჩაებნენ ლენინგრადის „სპარტაკი", კაუნასის „ჟალგირისი", დუშანბეს „ტაჯიკისტანი" და ფრუნზეს სკიფი.

სტარტზე საქართველოს გუნდებს ერთმანეთთან მოუხდათ შეხვედრა. მეტოქეთა სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: „დინამო" — მინაშვილი, ხაზარაძე, მოსეშვილი, კილაძე, ალთაბაევი; „ბურევესტნიკი" — გლურჯიძე, ი. ლეჟავა, მანაგაძე, დონაძე, საკანდელიძე.

სტუდენტებმა მეტოქეს მეტად მაღალი ტემპი შესთავაზეს. ორივე გუნდი ნერვიულობდა. ანგარიში ბურევესტნიკელებს მიჰყავდათ და ტაიმიც თავიანთ სასარგებლოდ (22:13) დაამთავრეს. 35-ე წუთზე სტუდენტები წინ იყვნენ უკვე 21 ქულით. მართალია, დინამოელებმა შეძლეს ნაწილობრივ მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ 47:61.

კომუნისტი სპორტი

ვეტერანთა გამარჯვება

ყოველი წლის მიწურულში ვეტერან ფეხბურთელთა გაძოსვლები ტრადიციული ასპარეზობა გახდა. ტყავის ბურთის ყოფილი ოსტატები ძალებს ცდიან სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლებთან, საკლუბო გუნდებთან.

ერთ-ერთი ასეთი საინტერესო შეჯიბრება გაიმართა პირველ დეკემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე. ჩვენი ვეტერანების („დინამოს" 1946 წ. შემადგენლობა) წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის ხელოვნების მუშაკთა გუნდი. ვეტერანებს მეტ გამოცდილებასა და ტექნიკასთან ერთად გამძლეობაც აღმოაჩნდათ. მათ მოწინააღმდეგის კარში ხუთი ბურთი გაიტანეს, საკუთარ კარში კი ორი ბურთი მიიღეს.

დინამოელთა რიგებში იყვნენ — კავსაძე, გაგუა, ძიაპშიპა, სარჯველაძე, ჭელიძე (გოგლიძე), გარიშვილი, ა. პაიჭაძე, ბერძენიშვილი (თოდრია), ბ. პაიჭაძე, პანიუკოვი (ლოლაძე), ს. ჯეჯელავა.

ლენინგრადში ერთ კვირაზე მეტია გრძელდება

გათამაშდა ექვსი ტური

ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო პირველობის გათამაშება ვაჟთა შორის.

გასულ კვირადღეს გათამაშდა მეხუთე ტური. ამ დღეს ორმა გროსმაისტერმა — პოლუგაევსკიმ და ხოლმოვმა წარმატებით ჩაატარეს პარტიები კლოვანთან და გიპსლისთან და სატურნირო ცხრილში მეტად საჭირო ქულები ჩაიწერეს.

ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს გროსმაისტერ გელერს შეხვედრა ჰქონდა ნოვოპაშინთან და პარტია ყაიმით დაამთავრა. ასევე მეორე ლიდერმა ბაქოელმა ბაგიროვმა ყაიმს მიაღწია გროსმაისტერ ავერბახთან. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე სპასკი - შტეინი და გუფელდ - ბონდარევსკი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გუშინ გაიმართა მეექვსე ტური.

საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

სსრ კავშირის ნაკრები და ზოგიერთი საკლუბო გუნდი ტურნეს მართავენ საზღვარგარეთ.

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები პირველად კასაბლანკას ეწვია და გასულ კვირადღეს საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდა მაროკოს ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1 : 1.

დონეცკის „შახტიორი" სტუმრად იმყოფება სირიაში. გასულ კვირადღეს ალეპოში იგი შეხვდა საკლუბო გუნდ „ხომენტმიანტს". ასპარეზობა საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მათი გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ლენინგრადის „დინამომ" თურქეთში დაამარცხა ტრაპიზონის ნაკრები 1:0.

ოდესის „ჩერნომორეცმა" ფრედ (0:0) დაამთავრა მატჩი ტუნისის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

3 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ტოსკა (მე-11 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — მეტეხის ჩრდილში (მე-20 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **სანკულტურის** — სამი საზრუნავი (მე-19 აბონ.), **სპორტის სასახლე** — საესტრადო ორკესტრი — „შვარც-ვაისი" (გდრ), **თოჯინების ქართული** — ფიფქიას სკოლა (11 ს.), დაკარგული საუნჯე (2 ს.).

ტელევიზია

3 დეკემბერი

12.00 — კინონარკვევი, 12.20 — მხატვრული ფილმი, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ვისი რაზმია უკეთესი", 18.25 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მოსკოვის მეტროს ჩირაღდნები", 18.45 — განცხადებები, 18.50 — კინოჟურნალი, 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „ერთი დღე სახალხო რაზმელებთან", 19.15 — კინონარკვევი „უძველესი ტორუნი", 19.35 — გადაცემა — გამოჩენილი ქართველი მსახიობები, „უშანგი ჩხეიძე", 20.00 — უშანგი ჩხეიძის საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან. ტრანსლაციის შემდეგ — ახალი ამბები.

კინო

3 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის — გზა არენისაკენ, ამირანი, **ისანი, გორკის სახელობის, კულტურის სახლი, გაზაფხული** — დაუვიწყარი გაზაფხული, **ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი). **საქართველო** (მწვანე დარბაზი). **კოლხიდა, კოსმოსი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ყველაფერი ხალხს რჩება. **თბილისი** — სიყვარული სიმღერში (I-II სერია), **კომკავშირელი, ნაკადული** — ყალთაბანდობა კაზინოში, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — შეშლილთა სამსჯავრო, **კოლმეურნე** — ხელშეუხებელი (I-II სერია), **კიროვის სახელობის პარკი** — ცის ნელმავალი, **კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი** — განგსტერები და ფილანთროპები, **თანამგზავრი** — აღმოსავლეთის ქალები.

4 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ფრაგმენტები დ. თორაძის ბალეტიდან „მშვიდობისათვის", 08.30 — მოცარტი. კონცერტი სამი ვიოლინოსათვის და ორკესტრისათვის, 10.40 — მ. ბაჟანის ლექსები, 11.15 — კონცერტი ა. ბოროდინის ნაწარმოებებიდან, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 12.25 — ა. ბუკიას რომანსები და ნ. გუდიაშვილის საფორტეპიანო კვინტეტი, 13.40 — ყაზახური მუსიკა, 17.15 — ქართული სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. მ. გრაჩოვი. „იყავი მეგობარი", 18.10 — მსუბუქი მუსიკა, 18.45 — „მღერის გეორგ ოტსი", 19.30 — რადიოინსცენირება ა. დნეპროვის მოთხრობისა „მთვარის სონატა", 19.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.20 — ქართული პოპულარული მუსიკა, 22.00 — ნაწყვეტი ა. ბელიაშვილის რომანიდან „შვიდკაცა", 23.30 — საესტრადო კონცერტი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

უე 11684 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.